ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 4 დეკემბერი 2004 №282 (2303) ფასი 50 თეთრი


# უეფამ გამოძიება მართლა დაიწყო


English Français Deutsch Español Italiano Português Русский 日本語 Compe Countrie

uefa·com europe's football·website uefa·com action

uefa.com > UEFA Cup > News & Features > News Specific launch

Panionios beat Dinamo Tbilisi 5-2 on Wednesday night (CAFP)

UEFA investigates fix claims
Friday, 3 December 2004

UEFA has opened an investigation into allegations of match-fixing surrounding the UEFA Cup Group D match between Greek side Panionios NFC and Georgia's FC Dinamo Tbilisi on Wednesday.

**Media reports**
European football's governing body said today that it was launching its investigation on the basis of media reports in connection with the match, which Panionios won 5-2 at the Nea Smyrni stadium in Athens.

Competition Info
News
Fixtures & Results
Standings
Clubs
Multimedia
All-Time Statistics

OFFICIAL UEFA WEBSITE
UEFA Champions League
UEFA Cup
UEFA EURO 2004™
Other Competitions
Magazine
Fanzone
Football Europe
UEFA Organisation

Search >>

Related News
:: Mantzios preserves hopes

uefa·com actio
Match Previe Liverpool an must win, Ur aim high (03 PLAY
Match Previe Arsenal seek Drogba back (03.12.04) PLAY
News Uefa.com Te 2004 (03.12. PLAY
News UEFA Cup F (03.12.04) PLAY
News All Systems Istanbul (03. PLAY

მთელ ამ ისტორიაში, რაც „პანიონიოს“ — „დინამოს“ შესაძლო გარიგებაზე აგორდა, ყველაზე შემაშფოთებლად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პოზიცია მიგვაჩნია. არა თავად გარიგება — თუ გარიგება მართლა მოხდა — არამედ სწორედ ფედერაციის პოზიცია.

გუშინ ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ ჟურნალისტები პრესკონფერენციაზე მიიწვია, ოღონდ სასაუბრო თემა სულ სხვა იყო. თუმცა გენერალურ მდივანს, ბუნებრივია, გარიგებაზეც მოუხდა კომენტარის გაკეთება და, სიმართლე გითხრათ, გვეგონა, რომ მისი კომენტარი ცოტა სხვანაირი იქნებოდა.

ბატონი ვალერი ამბობს, რომ უეფას რეაგირება ჯერ არ მოუხდენია და მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გარიგებაზე არაფერი წერია.

უეფას ოფიციალურ ვებ-გვერდზე გარიგებაზე რომ წერია, ვიზუალურადაც შეგიძლიათ დარწმუნდეთ, ხოლო შიგ რა წერია, მოგახსენებთ: „უეფამ დაიწყო გამოძიება...“

ეს ტექსტის პირველი წინადადებაა, მერე კი „პანიონიოს“ — „დინამოს“ მატჩის თაობაზეა ის ინფორმაცია, რაც უკვე ყველამ ვიცით და ამდენად აღარ გავიმეორებთ. მაგრამ მთავარი ის არის, რომ უეფამ გამოძიება დაიწყო და ამას **BBC** ან „სარბიელი“ კი არ იგონებენ, უეფას ოფიციალური ვებ-გვერდი იუწყება. ყოველი შემთხვევისთვის, ამ ინფორმაციის დადასტურება გუშინ საღამოს უეფას პრესსამსახურსაც ვთხოვეთ და, რა თქმა უნდა, დაგვიდასტურეს.

მაგრამ ეს არაფერი, ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ როცა ვალერი ჩოლარიამ ზემოთ მოტანილი კომენტრი გააკეთა, სრულად ინფორმირებული არ იყო.

მერე გენერალური მდივანი ამბობს: „თუ უეფა დაინტერესდება ამ ამბით, მაშინ უკვე შემეძლება კომენტარის გაკეთება.“

ვფიქრობთ, ბატონ ვალერის უკვე შეუძლია კომენტარის გაკეთება. თუმცა მისი ეს სიტყვები, ფაქტობრივად, უკვე არის კომენტარი.

ვალერი ჩოლარიასავე თქმით, გნებავთ უცხოურ და გნებავთ ქართულ მედიაში გამოქვეყნებული სტატიები ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს.

ამის პასუხად ისევ უეფასეულ კომენტარში ჩავიხედოთ. იქ წერია: „გამოძიებას საფუძვლად მედიაში გამოქვეყნებული ინფორმაცია დაედო.“

ანუ უეფას ოფიციალური პირები თვლიან, რომ მედიაინფორმაციები ძალიან მნიშვნელოვანი რამაა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური პირი კი თვლის, რომ არც ისე.

შემდეგ ვალერი ჩოლარია ამბობს: „თუ საქმე გამოძიებაზე მიდგა, ფედერაცია „დინამოს“ აუცილებლად დაიცავს.“

ჩვენთვის სწორედ ეს მოსაზრებაა ყველაზე შემაშფოთებელი. გენერალურმა მდივანმა არ იცის, გასვრილია თუ არა „დინამო“ ბინძურ გარიგებაში, მაგრამ იცის, რომ „დინამო“ უნდა დაიცვას. ანუ გამოდის, რომ მას არ აინტერესებს სიმართლე, არ აინტერესებს, დამნაშავეა თუ არა „დინამო“. და თუ „დინამო“ მართლა დამნაშავეა? ჩავთვალოთ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დანაშაულის დაფარვას და დამნაშავისთვის ხელის დაფარებას აპირებს?

დასასრული იხილეთ მეორე გვერდზე

# დინამო, რა თქმა უნდა, უარყოფს, ინგლისელები, რა თქმა უნდა, ამტკიცებენ



ტოტალიზატორ „ბეტფაირის“ ბუქმეიკერი კასპერ ჰილი:
უამრავ ადამიანს ზუსტ ანგარიშზე – 5:2-ზე სურდა ფსონის დადება.

საბუქმეიკერო კანტორის „უილიამ ჰილის“ წარმომადგენელი გრემ შარპი:
ეჭვი არ მეპარება, რომ თამაში გარიგებული ანგარიშით დასრულდა.




# საქართველო სირაქლემების სამშობლოა? უეფამ გამოძიება მართლა დაიწყო

უეფას დისციპლინარული კანონის მეხუთე მუხლში წერია, რომ ეროვნული ფედერაციები დისციპლინარული საკითხების განხილვისას უპირველესად წმინდა სპორტულ პრინციპებს უნდა ითვალისწინებდნენ.

ვალერი ჩოლარიას ერთი მოსაზრებაც: „იქნებ ბერძნებმა გააკეთეს სპეციალურად, რომ პირველი ტაიმი წაეგოთ და მერე მოეგოთ."

ბატონ ვალერის დავეთანხმებით, ასეთი ვარიანტი სავსებით დასაშვებია და თუ თამაში ნაღდად ჩაწყობილი იყო, ნაღდად გვინდა, რომ სწორედ ამგვარი სცენარით, მაგრამ...

გუშინ სააგენტო „როიტერმა" ტოტალიზატორ „ბეტფაირის" ბუქმეიკერის კასპერ ჰილის კომენტარი გაავრცელა: „უამრავ ადამიანს ზუსტ ანგარიშზე — 5:2-ზე სურდა ფსონის დადება."

შესაძლოა, კასპერ ჰილი ტყუის, მაგრამ შესაძლოა, არ ტყუის და თუ ასეა, უბრალოდ, წარმოუდგენელია, როგორ გაარტყეს ბერძნებმა ზუსტად ის ანგარიში დინამოელთა დაუხმარებლად.

კიდევ ერთი კომენტარი, ამჯერად უდიდესი საბუქმეიკერო კანტორის „უილიამ ჰილის" წარმომადგენლის გრემ შარპის, რომელიც ისევ „როიტერმა" გაავრცელა: „ეჭვი არ მეპარება, რომ თამაში გარიგებული ანგარიშით დასრულდა."

რუსული ინტრნეტ-გაზეთი სპორტს.რუ კი წერს, რომ მის ფორუმში მავანმა გულშემატკივარმა თამაშის დაწყებამდე მოიწერა, ამბობენ, „პანიონიოსი" — „დინამო" გარიგებულია, პირველ ტაიმს „დინამო" მოიგებს, თამაშს კი „პანიონიოსიო".

კარგი, მოდით ნუ ვენდობით რუსულ წყაროებს, მაგრამ ჩვენ ნამდვილად ვენდობით ლონდონში მცხოვრებ ჩვენს მეგობარ ქართველებს, რომელთაგან რამდენიმემ გუშინ დაგვიდასტურა, ბევრი ლონდონელი ქართველი ლაპარაკობდა მატჩის წინ გარიგებაზეო.

ძალიან ცუდია, რომ ასე ლაპარაკობდნენ, უფრო ცუდი კი ის არის, რაც თავში ვთქვით: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ამ სკანდალს ისე ეკიდებიან, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

არადა, მოხდა. ქართულ ფეხბურთში ასეთი სკანდალები სისტემატიურად ხდება, უბრალოდ, ახლა სკანდალმა განსაკუთრებული მასშტაბი მიიღო. რამდენჯერ გაჩენილა ეჭვი, რომ თამაში ჩაწყობილი იყო. ასეთი მატჩები გუშინაც ჩამოვთვალეთ და ახლა ეს ჩამონათვალი გავამდიდროთ.

„დინამო" — „ლინფილდი": მაშინ მსაჯის მოქრთამვა დაგვიმტკიცდა და „დინამო" ევროთასებიდან მოიკვეთა;

„ლოკომოტივი" — „კოპენჰაგენი": თბილისელთა პრეზიდენტმა თავად თქვა, რომ მისმა ფეხბურთელებმა საკუთარ წაგებაზე დადეს ფსონი;

„ტირანა" — „დინამო": ვინ იფიქრებდა, რომ „დინამო" ალბანეთში სამბურთიან ფორას გაანიავებდა. ამბობენ, მაშინ ბლომად ფული დაიდო შემდეგ ეტაპზე „ტირანას" გასვლაზეო;

გაიხსენეთ ის ეჭვებიც, გორის „დილას" წლევანდელ ინტერტოტოზე თამაშს რომ მოჰყვა;

„ვიტ ჯორჯიას" ფარერებზე წაგებაც გაიხსენეთ და მაშინ გაჩენილი ეჭვებიც.

კარგი, დავუშვათ, რომ ყველა ამ შემთხვევაში ქართული გუნდები სუფთები იყვნენ და ბოროტი ადამიანები მათთვის ჩირქის მოცხებას ლამობდნენ. მაგრამ, მოდით, ისიც გავიხსენოთ, ამ შემთხვევებიდან რომელიმეზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გამოძიება მოაწყო თუ არა. ოღონდ, ბატონებო, ნუ იტყვით, რომ ეს თქვენი საქმე არ არის.

**ლუკა თალაკვაძე**

# ვაა?! ჯერ პირშიწყლიანი ჰოვანესიანი საიდუმლოს უეფას ეტყვის

*გევორქ ჰოვანესიანი ორი წლის წინ მსაჯი იყო, ახლა დელეგატია, საერთაშორისო მატჩებზე უეფას წარმომადგენელი. ჰოვანესიანი ოთხშაბათს უეფას თასის აწ გახმაურებული „პანიონიოს" – „დინამოს" მატჩის დელეგატი იყო, თუმც ჩვენებისა და ამ სომხის ნაცნობობა უფრო ადრე, „დინამო" – „ვისლას" მატჩისას შედგა. უეფას დელეგატი მაშინაც ჰოვანესიანი გახლდათ. რა საერთო აქვთ ჰოვანესიანს და „დინამოს" ერთმანეთთან? ამ კითხვაზე პასუხი ისეთივე რთულია, როგორც იმას მტკიცება, რომ „პანიონიოსი" – „დინამო" ჩაწყობილი იყო*



„ვისლას" პრეზიდენტყოფილი თადეუშ ჩერვინსკი, „დინამოს" მმართველი დირექტორი დავით პეტრიაშვილი და მატჩის დელეგატი გევორქ ჰოვანესიანი

გეხსომებათ, „დინამოსთვის" ჰოვანესიანის დელეგატობა ბედნიერი გამოდგა, ჩვენებმა „ვისლა", შეიძლება ითქვას, სენსაციურად დაამარცხეს. ახლა კი, „დინამოს" „პანიონიოსთან" შეხვედრას, ისევ ჰოვანესიანის დელეგატობას ასევე სენსაციური გამოხმაურება მოჰყვა.

და თურმე, ის, რაც ვიცით ჩვენ და ალბათ უკვე მთელმა საფეხბურთო სამყარომაც, არ იცის თავად გევორქ ჰოვანესიანმა. ყოველ შემთხვევაში, როცა გუშინ ერევანში დავუკავშირდით, უეფას პრესსამსახურზე დაყრდნობით BBC-ის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ძალიან გაიკვირვა. ჯერ რამდენჯერმე იკითხა, ვინ, რომელი გაზეთიდან ურეკავდა და მერე...

— არა, მატჩის თაობაზე არანაირი კომენტარის უფლება არ მაქვს. უეფას ოფიციალურ წარმომადგენლებს — მსაჯებს, დელეგატებს, მსაჯების დამკვირვებლებს მატჩზე კომენტარის გაკეთება აკრძალული გვაქვს.

— გასაგებია, მაგრამ „პანიონიოს" — „დინამოს" მატჩზე უკვე დიდი ამბავია ატეხილი...

— რა ამბავი?

— მატჩი ჩაწყობილი იყოო...

— არაფერი ვიცი. თუ ასეთი რამ ითქვა, ეს ძალიან ცუდია.

— რა თქმა უნდა, ცუდი ფაქტია...

— სხვას ვერაფერს გეტყვით. იქნებ „პანიონიოსისა" და „დინამოს" მწვრთნელებს დაუკავშირდეთ...

— რატომ მწვრთნელებს?

— მატჩის თაობაზე ისინი უკეთ გეტყვიან.

— დელეგატი რას ამბობს?

— უეფა თუ გამომიძახებს და მატჩზე მკითხავს, სათქმელს მათ ვეტყვი.

— იქნებ ჩვენც გვითხრათ.

— არა, სწორად გამიგეთ, ლაპარაკის უფლება არ მაქვს.

— მატჩის შემდეგ უეფასთვის გაგზავნილ პატაკში რა დაწერეთ, ალბათ, არც ამას გვეტყვით.

— უფლება არ მაქვს.

**კობა ინასარიძე**

# იმედია, იმედი დაგვაიმედებს

**თითქოს** გუშინ იყო, ყველანი ვხარობდით, „დინამომ" ქართული ფეხბურთის დაკნინებული პრესტიჟი ფეხზე რომ წამოაყენა. უეფას თასის სამი ეტაპის დაძლევით საქართველოს თასის მფლობელი ახალი ფორმატით პირველად გამართული პრესტიჟული ევროტურნირის ჯგუფში მოხვდა და დამოუკიდებელი საქართველოს საკლუბო ფეხბურთში ახალი სიტყვა თქვა.

გვიხაროოდა და ეს სიხარული მალე სინანულმა შეგვიცვალა, როცა ქართულმა კლუბმა სამივე მატჩი პირწმინდად, უგოლოდ დათმო. მაგრამ ასეთ სუსტ გამოსვლას ობიექტური მიზეზი ჰქონდა. შესარჩევ ეტაპზე წარმატება თავად „დინამოსთვის" აღმოჩნდა მოულოდნელი და ძირითად ტურნირს მოუმზადებელი, ბოლომდე დაუკომპლექტებელი შეხვდა.

ამას ქომაგიც კარგად ხვდებოდა და მარცხსაც თითქოს შეეგუა.

მაგრამ გუშინ მთელ საფეხბურთო საქართველოს ელდა ეცა, როცა ბრიტანეთის სამაუწყებლო კომპანიამ მთელ დუნიას ამცნო, ბერძნული „პანიონიოსი" და ქართული „დინამო" მატჩის შედეგის გარიგებაში არიან ეჭვმიტანილი და უეფა ამ ბნელი საქმის გამოძიებას გეგმავსო.

უფრო კონკრეტულად გუშინდელ „სარბიელშივე" ეწერა: ერთ ბრიტანულ ტოტალიზატორში ამ მატჩის ტაიმბოლი უსაშველოდ დაიტვირთა, რამაც ეჭვი შვაო.

ამ საქმისგან თავი ყოველთვის შორს მეჭირა და ვერ ვიტყვი, სხვაგან როგორ არის, მაგრამ საქართველოს ყველაზე მივარდნილი სოფლის მაგალითზეც კი შემიძლია ვთქვა, ტოტალიზატორი 21-ე საუკუნეს შავ ჭირად ექცა.

ბევრს დღემდეც სჯერა, რომ 6 წლის წინ საფრანგეთმა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ბრაზილია 3:0 რომ გაანადგურა, საერთაშორისო ტოტალიზატორთა სინდიკატის დამსახურებაა და არა, ვთქვათ, ზინედინ ზიდანის.

ჰოდა, სადაც ეჭვი ასეთ უმნიშვნელოვანეს მატჩზე შეიძლება გაჩნდეს, რა გასაკვირია, „პანიონიოსმა" და „დინამომ" დააეჭვოს კაცი.

ეჭვს საფუძველს ერთი გარემოებაც უმაგრებს: ქართველ ტელემაყურებელს წლევანდელი „დინამოს" 10 საევროთასო მატჩიდან 3 საგარეო შეხვედრის პირდაპირი ტელერეპორტაჟი არ უნახავს და სამივეს ზნე ერთგვარი იყო, „დინამო" პირველ ტაიმს ან აგებდა და გამარჯვებით დაასრულა, ანაც იგებდა და, ისე, როგორც „პანიონიოსთან", საბოლოოდ დამარცხდა.

ეჭვების გასაფანტად უმოკლესი გზა თავად „დინამოს" ხელშივეა: იმედია, ტელეკომპანია „იმედი" თავის გადატვირთულ 24-საათიან ეთერში მაინც გამონახავს ფანჯარას, რათა „პანიონიოს" — „დინამოს" ვიდეოჩანაწერი გვიჩვენოს, თუ, რა თქმა უნდა, ასეთი ფირი ბუნებაში საერთოდ არსებობს.

**თენგიზ ფუტკარაძე**

# კომენტარი დინამოსგან

„პანიონიოს" — „დინამოს" გახმაურებული მატჩისა და გავრცელებული სკანდალური ინფორმაციების თაობაზე გუშინ კომენტარი გააკეთა „დინამოს" პრესსამსახურის უფროსმა *ლევან სალუქვაძემ*:

— მსურს, საზოგადოება დავარწმუნო, რომ „დინამოს" არათუ „პანიონიოსთან", არამედ არცერთი სხვა მატჩისას მეტოქესთან არანაირ გარიგებაში მონაწილეობა არ მიუღია.

ჩვენი კლუბი შეურაცხყოფილია. „დინამოსთვის" თავისი რეპუტაცია ძალიან ძვირფასია და ამიტომაც ჩვენ თავად ვართ დაინტერესებულნი და მოვითხოვთ უმოკლეს ვადაში იქნეს გამოძიებული ეს საქმე და „დინამოს" სახელი ამ სკანდალთან დაკავშირებით მოხსენიებული აღარ იყოს. უეფას თუ სხვა შესაბამის ორგანოებს კი „დინამო" ამ საქმის გამოძიების პროცესში ყველანაირ დახმარებას გაუწევს.

საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. 16 ტური. 18 ტური. ანონსი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

ქუთაისი. 5 დეკემბერი. 13.30 საათი. ტორპედო

## ტორპედო — თბილისი

მსაჯები: ა. მეშკოვი (თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), გ. ცირდავა (გულრიფში); მ. მაისურაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ზ. პეტრიაშვილი

# თავდადება და მაღალი ღმერთი და ერთი საიდუმლოც



ხვალ ქუთაისსა და თბილისში ზამთრის ჩემპიონის ბედი წყდება, თუმც თუ „ტორპედომ“ მოიგო, „დინამო“ — „ბათუმის“ რაგინდარა შედეგი სათვალავში აღარ ჩაითვლება — ქუთაისელებს ვეღარავინ დაეწევა ჩემპიონატის მეორე ეტაპამდე. მაგრამ ზეგ „ტორპედო“ „თბილისს“ ეთამაშება, ძალიან ძლიერ მეტოქეს. „ტორპედოს“ მთავარ მწვრთნელ *ოთარ გაბელიასთან* საუბარიც აქედან დავიწყეთ.

— „თბილისი“ კარგი გუნდია, კარგი ახალგაზრდობა ჰყავს. „თბილისთან“ თასის მეოთხედფინალის პირველი მატჩი კი წავაგეთ, მაგრამ ყველა თამაშს ვერ მოიგებ.

— **ახლა შინ თამაშობთ და თუ მოიგებთ, ზამთრის ჩემპიონები გახდებით.**

— ვნახოთ, რა იქნება, ჩვენებიდან ნერგაძეს და ბოლქვაძეს მიკროტრავმები აწუხებთ, თუმც თამაშს ალბათ მაინც შეძლებენ.

— **ეს მეორე წრის ბოლო მატჩია და როგორ ფიქრობთ, სტადიონზე რამდენი მაყურებელი მოვა?**

— „ტორპედოს“ თამაშებზე ქუთაისში ორი ათასამდე მაყურებელი სულ დადის, „დინამოსთან“ კი ხუთი ათასამდე გულშემატკივარი მოვიდა, „თბილისთანაც“ ალბათ ნორმალური დასწრება იქნება.

— **„თბილისი“ კარგი გუნდიაო, თქვით — რას დაუპირისპირებთ ასეთ მეტოქეს?**

— ეს უკვე ჩვენი საიდუმლოა. მეტოქის ძლიერი და სუსტი მხარეები კარგად ვიცით. მთავარია, ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელად მყავდეს.

— **„ტორპედოს“ სეზონისწინა შეკრება არ გაუვლია და პირველ ადგილზეა — ამას როგორ ახერხებთ?**

— სადაც კი მიმუშავია, ყველგან მებრძოლი გუნდი მყავდა. რაც შეეხება ახლანდელ სიტუაციას, თავდადება და მაღალი ღმერთი — ამის ხარჯზე ვართ პირველ ადგილზე.

— **გასაგებია, მაგრამ პირველ ადგილზე ყოფნას და თავდადებას სათანადო ფიზიკური კონდიციები არ სჭირდება?**

— ჰო, მაგრამ ჩვენთან ჯიგარი არის და ისეთი ფეხბურთელებიც გვყავს, ფეხბურთის თამაში რომ იციან.

— **მეორე ეტაპის წინ აპირებთ შეკრებაზე წასვლას?**

— ეს კლუბის ხელმძღვანელობაზეა დამოკიდებული.

— **ჯერ ისიც არ იცით, გუნდი ახალი ფეხბურთელებით გაძლიერდება თუ არა?**

— სამი-ოთხი ფეხბურთელის დამატება მართლაც საჭიროა. „ტორპედოში“ ფეხბურთელები ხელფასს უპრობლემოდ იღებენ, მაგრამ თუ მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა გვინდა, უნდა გავძლიერდეთ. რა ვქნა, ფული რომ მქონდეს, მოვიტანდი გუნდში, მაგრამ არ მაქვს. კლუბის ხელმძღვანელობისგან დაპირება არის, რომ ყველაფერი უკეთესობისკენ წავა. სეზონის პირველი ეტაპის დამთავრების შემდეგ, 10 დეკემბერს კი გუნდის კრება იქნება.

— **„თბილისთან“ საკვირაო მატჩში თქვენ შანსებს როგორ აფასებთ?**

— ყველა თამაშს 50/50-ზე ვაფასებ, რადგან საქართველოს ჩემპიონატში ახლა ისეა, რომ ვინ ვის მოუგებს, ვერ იტყვი.

— **პირველ ეტაპზე ყველაზე უფრო რომელი გუნდი მოგეწონათ?**

— „დინამო“ და ამას ამ გუნდის სახელის გამო არ ვამბობ — დინამოელებს ძალიან კარგად დაბალანსებული გუნდი ჰყავთ, გამოვარჩევდი „თბილისსაც“.

**დავით თავართქილაძე**

ტურის დანარჩენ მატჩთაგან უპირველესად „დინამო“ — „ბათუმს“ გამოვარჩევთ და არა იმიტომ, რომ ერთმანეთს ორი თანაბარძალოვანი გუნდი ხვდება, არამედ „დინამო“ გვაინტერესებს. საქართველოს 11-გზის ჩემპიონის თავს შავი ღრუბლები შეიყარა და საინტერესოა, რა განწყობით გავა გუნდი მოედანზე.

ორი უკიდურესობაა — „დინამო“ ან არაფერ შუაშია და პროვოკაციის მსხვერპლია, ან კიდევ... არა, ამის დაჯერება არ გვინდა. თამაშის ჩაწყობაში ეჭვმიტანილ თბილისელებს კი საქმის გარკვევამდე ეროვნულ ჩემპიონატში აქვთ სათამაშო.

„ბათუმში“ კი კრიზისია. ფინანსური სიდუხჭირე გუნდის შედეგებს უკვე ეტყობა — ზღვისპირელებს ზედიზედ შვიდი მატჩია, ვერ მოუგიათ და საკითხავი ისაა, რისი იმედი აქვს ხვალ „ბათუმს“, მაგრამ... „დინამოს“ აქვს კი იმედი?!

...აი, ზესტაფონში მართლა დიდი ამბები იქნება — იმერეთს საქართველოს ჩემპიონი სტუმრობს. „ვიტ ჯორჯიას“ იოლი გასეირნება რომ არ ელის, თავადაც იცის და ვნახოთ, რა გამოვა. ფაქტია, ზესტაფონელები მეტოქეს არაფერს დაუთმობენ და გოლის გატანაში უკვე თუ ივარჯიშეს, სამი ქულის პრეტენზიაც ჰქონბათ. შეგახსენებთ, რომ [illegible] წინა ტურში „[illegible]“ [illegible] [illegible] მაინც [illegible] [illegible] [illegible] ვლეს“ და დამარცხდნენ.

„სიონი“ ვახსენეთ და ისიც ფაქტია, რომ მწარე 2004 წელი ბოლნისელებისთვის ფოთში მთავრდება. ფავორიტიც „კოლხეთია“ და „სიონს“ დიდი ჯაფა დაადგება „ფაზისიდან“ ქულის წამოსაღებად. ფოთელებს კი მოგება უნდათ და მეორე ეტაპსაც მშვიდად დაელოდებიან.

და „ლოკომოტივი“ — „დილა“. რაღა ვთქვათ: გორელები ერთხელაც წააგებენ და ამას უკვე ისე მივეჩვიეთ, რომ სხვაგვარად ვერც წარმოგვიდგენია. „ლოკომოტივი“ ვალდებულია, სამი ქულა დაიტოვოს და ალბათ ასეც იქნება.

**კახა შალამბერიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 17 | 11 | 5 | 1 | 30:9 | 38 |
| დინამო | 17 | 11 | 3 | 3 | 39:19 | 36 |
| თბილისი | 17 | 10 | 3 | 4 | 36:20 | 33 |
| ვიტ ჯორჯია | 17 | 8 | 4 | 5 | 29:22 | 28 |
| ლოკომოტივი | 17 | 6 | 7 | 4 | 22:15 | 25 |
| ბათუმი | 17 | 6 | 5 | 6 | 22:15 | 23 |
| ზესტაფონი | 17 | 5 | 1 | 11 | 13:35 | 16 |
| კოლხეთი | 17 | 4 | 4 | 9 | 14:23 | 16 |
| სიონი | 17 | 4 | 2 | 11 | 15:39 | 14 |
| დილა | 17 | 2 | 2 | 13 | 12:35 | 8 |

თბილისი. 5 დეკემბერი. 13.30 საათი. ლოკომოტივი

## ლოკომოტივი — დილა

მსაჯები: გ. ვადაჭკორია (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ა. სამხარაძე (სოხუმი); მ. მალალურაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

თბილისი. 5 დეკემბერი. 13.30 საათი. ეროვნული

## დინამო — ბათუმი

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), კ. გაბრიაძე; ა. შალამბერიძე (ორივე ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

ფოთი. 5 დეკემბერი. 13.30 საათი. ფაზისი

## კოლხეთი — სიონი

მსაჯები: ლ. სილაგავა (თბილისი); ი. აფციაური (დუშეთი), მ. ურუშაძე (თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

ზესტაფონი. 5 დეკემბერი. 13.30 საათი. ცენტრალური

## ზესტაფონი — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), მ. ელიკაშვილი (თბილისი); ა. ორდინიძე (ონი); სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

# ჩუხრი გოლით აგვაჩუხჩუხებს
## ვალერი ჩოლარია: ჩემთვის BBC და ქართული გაზეთი ერთია...

საქართველოში ნაცნობი სტუმარი ჩამოვიდა. ფიფას პროგრამა „გოლის“ კურატორი დსთ-ს ქვეყნებში ვალერი ჩუხრი, რომელსაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიასთან მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს. ჩუხრის ასევე „გოლის“ წარმომადგენელი, ბელარუსი ალექსანდრ ჩერნუხოც ჩამოჰყვა და ამ სამეულმა გუშინ სფფ-ში პრესკონფერენცია გამართა:

ჩუხრიმ ჯერ სამწვრთნელო სერთიფიკატები გადასცა სამ ქართველ მწვრთნელს — თენგიზ კაციას, ზაზა ბაკურაძესა და პაატა მეტრეველს, რომლებმაც სემინარები ყირგიზულ ბიშკეკში გაიარეს. სტუმარმა სიხარულით აღინიშნა, რომ დიდი შანსია 20 დეკემბერს ციურიხში გასამართ ფიფას გალაშოუზე მსოფლიოს 2004 წლის საუკეთესო ფეხბურთელად პოსტსაბჭოელი ანდრეი შევჩენკო დაასახელონ.

შემდეგ კი ჩუხრის ხანგრძლივი მონოლოგის დროც მოვიდა, რომელსაც მოკლედ გადმოგცემთ:

„თბილისში სამ დღეს გავჩერდებით, რის შემდეგაც აზერბაიჯანში გადავინაცვლებთ. ჩვენ ჩამოვიტანეთ პროგრამა, სადაც თითოეულ ქვეყანაში ფეხბურთის განვითარების 12 საფეხურია მოცემული — ბავშვთა ფეხბურთი, ჭაბუკები, ასევე სტადიონები, სავარჯიშო ბაზები... მაგალითად, საფრანგეთმა ამ პროგრამით მიაღწია საწაულ პროგრესს, რაც მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონობით დააგვირგვინა.

... ახლანდელი ჩამოსვლის მიზანი პროგრამა „გოლი 2“-ის გაცნობაა — თითოეულ ქვეყანაზე ოთხწლიან ციკლში მილიონი დოლარი, ანუ წელიწადში 250 000 დოლარი გაიცემა. პირველ რიგში, ხელოვნურსაფარიანი მინდვრები უნდა გააკეთლეს: ფიფას ყოველ კონგრესზე გვაქებენ, რადგან ბევრ ქვეყანაში უდაბნოებსა და ხრიოკ ადგილებზე კოხტა ხელოვნურსაფარიანი მოედნები გავაშენეთ“.

ჩუხრიმ ისიც თქვა, „გოლი 2“ ჯერ საქართველოში არ ამოქმედებულა, რადგან თქვენს ფედერაციაში გაუგებარი ვითარება იყო და ვალერი ჩოლარიამაც ნაუცბადევად დატოვა გენერალური მდივნის პოსტიო — ეს საწყენად არ დაგრჩეთ, უკვე გადაწყვეტილია, რომ გაისად საქართველოც მიიღებს „გოლი 2“-ის დახმარებასო. ამ პროგრამის არსი კიდევ იმაშია, რომ გადმორიცხული თანხის 10 პროცენტი ქალთა ფეხბურთს უნდა მოხმარდეს. „ჩვენს პროგრამაში სამი აუცილებელი პუნქტია: ყველა ქვეყანას უნდა ჰქონდეს ფედერაციის შენობა, ნაკრების სავარჯიშო ბაზა და ხელოვნურსაფარიანი მოედნები“ — განმარტა ჩუხრიმ, რომელმაც ჩერნუხოსთან ერთად აღნიშნა, რა მაგრად გვყვარებიათ ქართველებს ფეხბურთი, მოლდოვაში რომ ვიყავით, მათი ფედერაციის თავკაცობა ჟურნალისტებისადმი საყვედურს გამოთქვამდა, რომ ფეხბურთს ცუდად აშუქებენ, თქვენთან კი გაზეთები აჭრელებულიაო...



ორი ვალერი: ჩუხრი და ჩოლარია

მასმედიელები ვალერი ჩოლარიამაც შეგვაქო, რომელსაც ბოლოსკენ თბილისის „დინამოს“ გარშემო ატეხილ საუეფასთასო სკანდალზეც ვკითხეთ. რა თქმა უნდა, სფფ-ის გენერალურმა მდივანმა მკვეთრი კომენტარისგან თავი შეიკავა, ეს კი თქვა: „ჩემთვის **BBC** იგივეა, რაც „სარბიელი“ ან „ოლიმპი“. კი, **BBC**-ზე გამოქვეყნდა ინფორმაცია, თითქოს „პანიონიოსი“ — „დინამოს“ მატჩს მოლაპარაკებულის სუნი ასდის, მაგრამ ეს ჯერ არაფერს ნიშნავს. რაც მთავარია, უეფა-ს რეაგირება არ მოუხდენია, მათ ოფიციალურ ვებ-გვერდზე მსგავსი არაფერი გვინახავს და თუ უეფა დაინტერესდება ამ ამბით, მაშინ უკვე შემეძლება კომენტარის გაკეთება. ველაპარაკეთ მათ წარმომადგენლებს, მაგრამ არაფერი უთქვამთ, ასე რომ, ფაქტები არ არსებობს. რა თქმა უნდა, თუ საქმე გამოძიებაზე მიდგა, ფედერაცია „დინამოს“ აუცილებლად დაიცავს. ისე, არ მესმის, ჩვენებს ბრალი როგორ უნდა დასდონ... რა, იქნებ ბერძნებმა გააკეთეს სპეციალურად, რომ პირველი ტაიმი წაეგოთ და მერე მოეგოთ“.

**ილია ნანოგაშვილი**

# მრუდე სარკე თქვენი იყოს

## როგორც უნდათ ჭრა-კერვის კურსები

რუსული „სპორტ ექსპრესის“ ყოველთვიურ გამოკითხვაში, რომლის მიზანიც დსთ-ელ და ბალტიისპირელ ფეხბურთელთაგან საუკეთესოს გამოვლენაა, „სარბიელი“ ამიერიდან მონაწილეობას აღარ მიიღებს. შეგახსენებთ, რომ საქართველოდან ამ გამოკითხვაში ჩვენს გარდა „ოლიმპი“ და „მთავარი სპორტი“ მონაწილეობენ.

ნოემბერში თვის საუკეთესო ფეხბურთელთა ქართული ვერსია „სარბიელს“ უნდა გაეგზავნა. ჩვენ ასეც მოვიქეცით, მაგრამ საბოლოო შედეგები ისეთია, რომ საფუძვლიანი ეჭვი გვაქვს, ვიფიქროთ: გამოკითხვა წარმოუდგენლად ტენდენციურია, აქედან გამომდინარე, „სარბიელი“ ამ საქმეში მონაწილეობის მიღებს აღარ აპირებს.

ჩვენი მოსაზრება გამოკითხვის ტენდენციურობის თაობაზე ასეთია: მალხაზ ასათიანმა ჯამში 16 ქულა დააგროვა და მეექვსე ადგილზე გავიდა, მაშინ როცა ანდრეი კარიაკა 38 ქულით მესამე ადგილზეა.

შევადაროთ: კარიაკას სანოემბრო ღვაწლი ის არის, რომ „კრილია სოვეტოვის“ მესამეადგილოსნობაში დაიდო წილი. მალხაზ ასათიანი კი გარდა იმისა, რომ იმავე ქვეყნის ჩემპიონი გახდა, რუსეთის წლის საუკეთესო მცველად დაასახელეს, ხოლო იმავ ნოემბერში დანიის ნაკრებთან მის თამაშზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

და მიუხედავად ამისა, დსთ-ელებმა ჩათვალეს, რომ ასათიანი კარიაკასთან ახლოსაც ვერ მივა.

იგივე შეიძლება ითქვას ლევან კობიაშვილზეც — ნოემბერში ოთხი გოლის გამტანი ქართველიც, რომლის „შალკე“ ბუნდესლიგაში მეორეა, კარიაკაზე წინ ყოფნას თურმე არ იმსახურებს.

აქ მხოლოდ კარიაკაში არ არის საქმე. ეს ფეხბურთელი, უბრალოდ, მაგალითად მოვიყვანეთ, თორემ თვიდან თვემდე უამრავი ასეთი „კარიაკა“ ამჯობინეს დსთ-ელებმა დამსახურებით აშკარად მჯობნ ქართველ ფეხბურთელებს.

ჰოდა, დსთ-ს თასივით და მთლიანად დსთ-სავით უდღეურ დსთ-ს გამოკითხვაში ჩვენს ადგილს ვეღარ ვხედავთ.

СПОРТ ЭКСПРЕСС

## გამოკითხვა

### თანამეგობრობისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების საუკეთესო ფეხბურთელი

ნოემბერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდრეი შევჩენკო (უკრაინა) | 11 | 3 | - | 1 | 1 | 70 |
| დმიტრი სიჩოვი (რუსეთი) | - | 8 | 4 | 1 | 2 | 48 |
| ანდრეი კარიაკა (რუსეთი) | 3 | - | 5 | 3 | 2 | 38 |
| ანდრეი ვორონინი (უკრაინა) | - | 3 | 4 | 3 | 2 | 32 |
| ლევან კობიაშვილი (საქართველო) | 2 | 1 | 2 | 1 | 1 | 23 |
| მალხაზ ასათიანი (საქართველო) | - | - | - | 5 | 6 | 16 |
| ალექსანდრ შოვკოვსკი (უკრაინა) | - | 1 | 1 | 2 | 2 | 13 |

| საერთო ჩათვლა<br>იანვარი-ნოემბერი | |
|---|---|
| შევჩენკო (უკრაინა) | 560 |
| სმერტინი (რუსეთი) | 270 |
| კარპინი (რუსეთი) | 150 |
| სიჩოვი (რუსეთი) | 142 |
| ვერპაკოვსკისი (ლატვია) | 132 |
| ალენიჩევი (რუსეთი) | 98 |
| კერჟაკოვი (რუსეთი) | 97 |
| კარიაკა (რუსეთი) | 85 |
| ტიმოშჩუკი (უკრაინა) | 79 |
| არშავინი (რუსეთი) | 69 |
| ვორონინი (უკრაინა) | 68 |
| კოლინკო (ლატვია) | 62 |
| კასიმოვი (უზბეკეთი) | 61 |
| გლები (ბელარუსი) | 58 |
| მალაფეევი (რუსეთი) | 54 |
| რომაშჩენკო (ბელარუსი) | 52 |
| კობიაშვილი (საქართველო) | 49 |
| ესიპოვი (რუსეთი) | 37 |
| დარასელია (საქართველო) | 36 |
| პანოვი (რუსეთი) | 36 |
| აკინფეევი (რუსეთი) | 33 |
| გახოკიძე (საქართველო) | 31 |
| ასათიანი (საქართველო) | 29 |
| შოვკოვსკი (უკრაინა) | 29 |
| პოშკუსი (ლიტვა) | 28 |
| არველაძე (საქართველო) | 25 |
| მოსტოვოი (რუსეთი) | 24 |
| ოვჩინიკოვი (რუსეთი) | 24 |
| კულიევი (თურქმენეთი) | 20 |
| მანუჩარიანი (სომხეთი) | 19 |
| იაშვილი (საქართველო) | 18 |
| ნემსაძე (საქართველო) | 17 |
| ვორობეი (უკრაინა) | 16 |
| გეინრიხი (უზბეკეთი) | 16 |
| ჟირკოვი (რუსეთი) | 16 |
| იანკაუსკასი (ლიტვა) | 16 |
| პეტროსიანი (სომხეთი) | 15 |
| სიმუტენკოვი (რუსეთი) | 14 |
| პროხორენკოვსი (ლატვია) | 13 |
| რუბინსი (ლატვია) | 12 |
| შემბერასი (ლიტვა) | 11 |
| ბელკევიჩი (ბელარუსი) | 10 |
| ბუგაევი (რუსეთი) | 5 |
| კალნინში (ლატვია) | 3 |

| ქვეყანა/მედია | პირველი | მეორე | მესამე | მეოთხე | მეხუთე |
|---|---|---|---|---|---|
| აზერბაიჯანი „ეხო“ | შევჩენკო | სიჩოვი | ვორონინი | ასათიანი | კარიაკა |
| სომხეთი „არმენია TV“ | შევჩენკო | ვორონინი | სიჩოვი | ასათიანი | კარიაკა |
| ბელარუსი „სპორტივნაია პანორამა“ | შევჩენკო | სიჩოვი | ვორონინი | კარიაკა | კობიაშვილი |
| საქართველო „სარბიელი“ | კობიაშვილი | შევჩენკო | სიჩოვი | ასათიანი | ვორონინი |
| ყაზახეთი „ვრემია“ | შევჩენკო | სიჩოვი | კობიაშვილი | კარიაკა | ასათიანი |
| ყირგიზეთი „მოია სტოლიცა-ნოვოსტი“ | შევჩენკო | სიჩოვი | კარიაკა | კობიაშვილი | შოვკოვსკი |
| ლატვია „ჩასი“ | შევჩენკო | ვორონინი | კარიაკა | ასათიანი | სიჩოვი |
| ლიტვა „რესპუბლიკა“ | შევჩენკო | სიჩოვი | კარიაკა | ვორონინი | ასათიანი |
| მოლდოვა „ნეზავისიმაია მოლდოვა“ | კარიაკა | ვორონინი | შოვკოვსკი | სიჩოვი | შევჩენკო |
| რუსეთი „ინტერფაქსი“ | შევჩენკო | სიჩოვი | კარიაკა | ასათიანი | შოვკოვსკი |
| ტაჯიკეთი „აზია-პლუსი“ | კობიაშვილი | სიჩოვი | ვორონინი | შევჩენკო | ასათიანი |
| თურქმენეთი „ბეიკ თურქმენბაში ნესლი“ | კარიაკა | შევჩენკო | კობიაშვილი | შოვკოვსკი | სიჩოვი |
| უზბეკეთი „ფუტბოლ ექსპრესი“ | შევჩენკო | კობიაშვილი | ვორონინი | კარიაკა | ასათიანი |
| უკრაინა „ფაკტი“ | შევჩენკო | შოვკოვსკი | სიჩოვი | ვორონინი | ასათიანი |
| ესტონეთი ETV | კარიაკა | შევჩენკო | სიჩოვი | შოვკოვსკი | ვორონინი |
| სპორტ-ექსპრეს ინტერნეტი | შევჩენკო | სიჩოვი | კარიაკა | ვორონინი | ასათიანი |

**პირველი ადგილი — 5 ქულა, მეორე — 4, მესამე — 3, მეოთხე — 2, მეხუთე — 1**

# რა ემეგობრება თანამეგობრობას...

თანამეგობრობის თასი რომ წლიდან წლამდე კარგავს ისედაც გახუნებულ პრესტიჟს, ეს არახალია. ის კი არა, წლეულს, მგონი, ჩაშლაც ემუქრება. რისთვის ტარდება ეს თასი? — ეს კითხვა სულ უფრო ხშირად ისმის.

ადრე ტურნირი ჩინებული ბაზრობა იყო პერსპექტიული ფეხბურთელების შესაძენად. ახლა კი რუსულ და უკრაინელ კლუბებს ისე გაეხსნათ მადა, ლამის ბრაზილიისა თუ არგენტინის ნაკრებში ნათამაშებ ხალხს აღარ კადრულობენ. რუსულმა სპორტულმა სააგენტოებმა ქართველებიც მოიყვანეს მაგალითად — შარშან მთელი თბილისის „დინამო“ ბრწყინავდა, მაგრამ რუსულმა გუნდებმა მხოლოდ დარასელია-ალექსიძე შეიძინეს და ისინიც არ გამოადგათო.

კიდევ ერთი დიდი პრობლემა სპორტკომპლექს „ოლიმპიისკის“ დირექციამ წარმოშვა, რომლებიც დიდძალ საიჯარო თანხას ითხოვს. რომელიც ტურნირის ერთ-ერთი ორგანიზატორი ამბობს, დირექცია შარშანდელზე მეტს ითხოვს, შარშან კი ტურნირის ჩატარება 500-600 ათასი დოლარი დაჯდაო.

...და თუ ტურნირი მაინც გაიმართება, მოსკოვის „ლოკომოტივის“ თავკაც იური სიომინის თქმით, მისი გუნდი ძირითადი შემადგენლობით ითამაშებს. კიევის „დინამო“ ჯერჯერობით მონაწილეობაზეც თავს იკავებს, „ლევერკუზენთან“ საჩემპიონთალიგო მატჩზე ვფიქრობთ და გააჩნია, ამ თამაშში რას ვიზამთო. რაც შეეხება საქართველოს ჩემპიონ „ვიტ ჯორჯიას“, მას თასზე მიწვევა ჯერ არ მისვლია.

**ილია ნანობაშვილი**

# სახვაძეს ქვრივი ორმო აღარ უნდა

## უმანქანობა და 50 ბანანი

*არჩილ სახვაძემ თბილისის „დინამოში“ რვა წელი (1995-2003) გაატარა, მერე ნახევარი სეზონი „ლოკომოტივში“ იყო, ახლა კი ირანის „საბა ბატერში“ თამაშობს, სადაც კიდევ ორი ქართველია — მეკარე სერგო ჭურაძე და მცველი მამუკა წერეთელი. მოკლედ, აჩიკოს თეირანში დავურეკეთ და იქაური ამბები გამოვკითხეთ*



— სეზონის წინ რუსეთში წასვლის ვარიანტი მქონდა, მაგრამ ის საქმე გაიწელა, სატრანსფერო ფანჯარა იხურებოდა და ირანში წასვლა გადავწყვიტე. „საბაში“ ახალ წლამდე ან მაისამდე დავრჩები, აქედან წამოსვლა მინდა.

**— „საბა“ ირანში ყველაზე მდიდარი კლუბია და წამოსვლა რატომ გინდა?**

— „საბა“ მართლაც უმდიდრესი კლუბია ირანში, თვით ალი დაეიც კი იყიდა. მაგრამ აქ რაღაცნაირად შებოჭილი ვარ. ირანში ისე თავისუფლად ვერ იქნები, როგორც ევროპაში.

**— „საბას“ და თბილისის „დინამოს“ პირობებს როგორ შეადარებდი?**

— პირობები „საბაში“ ბევრად უკეთესია — რიგით მატჩს თუ მოიგებ, პრემია ორი ათასი ევროა, განსაკუთრებულად მნიშვნელოვან თამაშზე კი უფრო მეტი.

**— ფული ერთია, მაგრამ „საბა“ ირანის თექვსმეტგუნდა ჩემპიონატში ჯერ მხოლოდ მეათე ადგილზეა...**

— ეს იმის ბრალია, რომ „საბა“ ჯერ შეუთამაშებელი გუნდია, მაგრამ კლუბის პრეზიდენტი ფეხბურთის ნამდვილი ფანია და გუნდისთვის ყველაფერს აკეთებს. შესაძლოა, მალე მწვრთნელი შეგვეცვალოს.

**— ძირითად შემადგენლობაში უწყვეტად თამაშობ?**

— კი, სამივე ქართველი სულ ძირითადში ვართ. ისე, ჭურაძე მაინც ყველაზე უფრო გამორჩეულია — ის აქ განსაკუთრებულად პოპულარულია.

**— ალი დაეის შენი საფირმო ჩაწოდებებით არ ამარაგებ?**

— დაეი მეტწილად თავით ცდილობს გატანას და მეც არ ვაკლებ პასებს. ის ძველებურად მოქნილი არ არის, მაგრამ გამოცდილების და კლასის ხარჯზე მაინც გააქვს თავი. დაეი ირანში ძალიან უყვართ და სხვანაირად არც იქნება — ნაკრებში ასზე მეტი გოლი გაუტანია.

**— შენ ჯერ არ გაგიტანია გოლი ირანში?**

— ერთხელ კუთხურიდან ჩავახვიე, ბურთმა კარის ხაზი გადაკვეთა და თანაგუნდელმა მერელა მიარტყა თავი. გოლიც მას ჩაუთვალეს.

**— თეირანში ცხოვრებას როგორ შეეგუე?**

— მანქანა არ მყავს, ტაქსი გვემსახურება სამ ქართველს. ქუჩაში რომ გავდივართ, გვცნობენ, მაღაზიაშიც თუ გვიცნეს, ფასებს გვიკლებენ.

**— აჩიკო სახვაძე და უმანქანოდ?**

— ეს ჩემთვის კატასტროფაა და უფრო ამის გამოც მინდა აქედან წამოსვლა. თბილისიდან აქ ჩემი მანქანა რომ ჩამოვიყვანო, გაფორმებას ძალიან დიდი თანხა უნდა. თუ აქ გინდა მანქანის ყიდვა, ან რუსული უნდა იყიდო, ან აქაური, თორემ სხვა მანქანას ძალიან ძვირს დაგიფასებენ. ძველი ამერიკული მანქანის ყიდვა დავაპირე, მაგრამ წარამარა პროფილაქტიკაში სიარულის თავი ნაღდად არ მაქვს.

**— ალი დაეიზე კიდევ რას გვეტყვი, როგორი ტიპია?**

— ენაჩლიფინაა და სიცილით ვიხოცებით, ამის წინათ კი ნიძლავი მომიგო — მე და დაეი დავნიძლავდით და ფეხბურთი ვითამაშეთ რვა-რვაზე. დაეიმ გუნდის საუკეთესო ფეხბურთელები თავისთან წაიყვანა, მათ შორის წერეთელიც, მე კი ახალგაზრდა ფეხბურთელების ამარა დავრჩი და წავაგეთ — სხვა რა გზა იყო, დაეის კუთვნილი 50 ბანანი მივუტანე.

**დავით თაგართქილაძე**

# ძოძუაშვილი ისევ უკლუბოდაა

**მახაჩყალის** „დინამოს“ დირექტორმა ხაირულა ალიევმა განაცხადა, რომ რევაზ ძოძუაშვილთან მუშაობა აღარ სურს. ძოძუაშვილმა წლეულს, აგვისტოში ჩაიბარა დაღესტნური კლუბი და კონტრაქტი 15 დეკემბერს უსრულდებოდა, ჰოდა, ალიევმა კონტრაქტის გაგრძელებაზე უარი თქვა. „ძოძუაშვილმა შედეგს ვერ მიაღწია, ჩვენ მეთერთმეტე ადგილი დავიკავეთ, რაც ძალიან ცუდია. ახლა რამდენიმე კანდიდატურას ვეძებთ.“

**ილია ნანობაშვილი**

# უეფას თასი 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. IV ტური

## E ჯგუფი

**ეგალეო 2:2 ლაციო**

1:0 ხლოროსი (9), 1:1, 1:2 მუცი (13, 36), 2:2 აგრიტისი (54)

**პარტიზანი 1:1 ვილიარეალი**

0:1 რ. კაზორლა (17), 1:1 ი. ტომიჩი (66)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მიდლსბრო | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| პარტიზანი | 3 | 1 | 2 | 0 | 7:3 | 5 |
| ვილიარეალი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| ლაციო | 4 | 0 | 3 | 1 | 5:7 | 3 |
| ეგალეო | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | 1 |

ბოლო ტური: 15 დეკემბერი

**მიდლსბრო — პარტიზანი** **ვილიარეალი — ეგალეო**

## F ჯგუფი

**ალკმაარი 1:0 რეინჯერსი**

1:0 ლანძაატი (8)
რეინჯერსი: შ. კლოსი, ხიზანიშვილი, ბოლი, ბუმსონგი, ენდრიუსი, მალკოლმი (ს. ჩიუზი 72), ა. რაე, რიკსენი, პრსო, ლოვენკრანდსი (ნამუში 46), ნოვო
მწვრთნელი: ალექს მაკლიში
გაფრთხილება: ბოლი, მალკოლმი
მსაჯი: ალონ იეფეტი (ისრაელი)
8 343 მაყურებელი

**ოსერი 5:1 ამიკა**

1:0 მინო (1), 2:0 პიერონი (4), 2:1 კრიშალოვიჩი (17), 3:1, 4:1 პიერონი (24, 26), 5:1 ბ. კალუ (55)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალკმაარი | 3 | 3 | 0 | 0 | 6:1 | 9 |
| რეინჯერსი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:1 | 6 |
| ოსერი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 4 |
| გრაცერი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| ამიკა | 4 | 0 | 0 | 4 | 3:16 | 0 |

ბოლო ტური: 15 დეკემბერი

**რეინჯერსი — ოსერი** **გრაცერი — ალკმაარი**

## G ჯგუფი

**ბევერენი 0:3 ბენფიკა**

0:1 სიმაო (5), 0:2, 0:3 ზაჰოვიჩი (21, 59)

**დინამო 2:2 ჰერენვენი**

1:0 ბოშნიაკი (15), 2:0 პრანჯიჩი (57), 2:1 უ. ილდირიმი (84), 2:2 ჰუნტელაარი (89პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბენფიკა | 4 | 3 | 0 | 1 | 9:5 | 9 |
| შტუტგარტი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:2 | 6 |
| დინამო | 3 | 1 | 1 | 1 | 8:5 | 4 |
| ჰერენვენი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:6 | 4 |
| ბევერენი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:14 | 0 |

ბოლო ტური: 15 დეკემბერი

**ჰერენვენი — ბევერენი** **შტუტგარტი — დინამო**

## H ჯგუფი

**ალემანია 2:2 ზენიტი**

1:0 მეიერი (25), 1:1 რადიმოვი (38პ), 1:2 გორშკოვი (76), 2:2 ბლანკი (90)

**სევილია 3:2 აეკ**

0:1 ლიბეროპულოსი (10), 1:1 ბაპტისტა (19), 2:1 ანტონიტო (29), 2:2 გიორგიოპულოსი (47), 3:2 ბაპტისტა (89პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სევილია | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 7 |
| ლილი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ზენიტი | 4 | 1 | 2 | 1 | 9:6 | 5 |
| ალემანია | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| აეკ | 3 | 0 | 0 | 3 | 4:10 | 0 |

ბოლო ტური: 15 დეკემბერი

**ლილი — სევილია** **აეკ — ალემანია**

# ალკმაარის საიუბილეო [illegible]

## რუსებს ქულა გამოჰგლიჯეს, ჰოლონელებს ბადე


REUTERS ბელგრადიდან

პარტიზანი — ვილიარეალი. სერბმა ივან ტომიჩმა პენალტით გაათანაბრა

### E ჯგუფი

ბერძნულ „ეგალეოს“, აქამდე გამართულ ორ მატჩში გოლი რომ ვერ გაეტანა, მადა რომის „ლაციოსთან“ გაეხსნა. ბერძნები მალევე დაწინაურდნენ. თომას მაკრისმა ბურთი თავით ხლოროსს დაუგდო, მან კი მკერდით მოარჯულა მრგვალი საგანი და სტუმართა კარის ცხრიანში შეჭედა. გალაღებულ მასპინძლებს იქვე ანგარიშის გაზრდა შეეძლოთ, მაგრამ მაკრისმა ახლოდან ააცილა.

სამაგიეროდ, ოთხ წუთში რობერტო მუციმ ივარგა: პაოლო დი კანიომ საჯარიმო დარტყმა შეასრულა, ბურთი მუცისთან აღმოჩნდა და ლაციოელმაც მეკარე კლაიევიჩს ჩაუხვია. ტაიმის დასრულებამდე ცხრა წუთით ადრე დი კანიომ მუცი კიდევ ერთი საგოლე პასით დაასაჩუქრა და ფორვარდმა ამჯერადაც აჯობა მეკარეს.

მეორე ნახევარში შეცვლაზე შესულმა აგრიტისმა პერუცის ბურთი თავზე გადაავლო და ანგარიშიც გაათანაბრა. საბოლოოდ ფრე, 2:2 და „ლაციოც“ უეფას თასს გამოემშვიდობა.

ბელგრადში კი მეტოქეებმა ქულები გაიყვეს და მეთექვსმეტედფინალის საგზური გაინაღდეს. სტუმარმა სისკომ რამონ კაზორლა ივიცა კრალთან პირისპირ გაიყვანა, ესეც მეკარეს გასცდა და ბურთი კარში მშვიდად შეაგორა. შესვენების შემდეგ „პარტიზანმა“ პენალტით გაქვითა. „ვილიარეალის“ მცველმა ხელით ითამაშა და მსაჯმა თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დანიშნა, ივან ტომიჩმა კი გამოიყენა.

### F ჯგუფი

ჰოლანდიურმა „ალკმაარმა“ ზედიზედ მეათე მატჩი მოიგო. კო ადრიანსეს გუნდს შინაურ ჩემპიონატში მიჯრით შვიდი აქვს მოგებული და უეფას თასზეც სამი მიაყოლა.

მე-8 წუთზე მასპინძელთა მოხდენილი კომბინაცია დენი ლანძაატმა უძლიერესი დარტყმით დაასრულა და ანგარიში გახსნა. შესვენებამდე რამდენიმე წუთით ადრე დამხვდურთა დაცვა ჩაფლავდა, შედეგად კი ნაჩო ნოვო მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ ვერ გაიტანა.

მეორე ტაიმის დასაწყისში „რეინჯერსის“ მცველ-მეკარეც შეცდა, თუმც ბარი ვან გალენმა საჩუქარი ვერ შეირგო. იგი ცდილობდა კარიდან გამოსული შტეფან კლოსისთვის ბურთი თავზე გადაეგდო, „ჩაფართა“ გერმანელმა მეკარემ კი წაიჯადოქრა და ბურთი ხაზიდან გამოაძევა.

ორი ტურის შემდეგ უგოლო „ოსერმა“ „ამიკა“ გამოიჭირა და ერთბაშად ხუთი ცალი აყლაპა. ხუთიდან სამი ლუიჯი პიერონიმ მიითვალა, პირველი გოლი კი მისი წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმას მოჰყვა: პირველსავე წუთზე პასკალ მინომ საჯარიმოს ხაზიდან კოხტად ჩაახვია ბურთი სტუმართა კარში, ხოლო მეოთხე წუთზე ზემოხსენებულმა პიერონიმ იხეირა. პაველ კრიშალოვიჩმა ერთი მალევე გაქვითა, მაგრამ ჰეთ თრიქის ავტორმა საპასუხოდ ორი გოლი ორ წუთში შეაგდო. გაფარჩაკებული „ამიკა“ სამჯერ იან ლაშუერმა დაიხსნა, რადგან ასპროცენტიანი მომენტები გაანიავა, ხოლო შეცვლაზე შესული სტუმართა მეკარე ჩერნიაკი საჯარიმოს გარეთ ხელით თამაშისთვის გააძევეს, მის ნაცვლად ხელთათმანები ბურკჰარდმა მოირგო, რომელსაც ბონავენტურე კალუმ გაუტანა.

### G ჯგუფი

„ბევერენსა“ და „ბენფიკას“ შორის კლასში განსხვავებას მეხუთე წუთზე სტუმართა რიცხობრივი უპირატესობაც შეემატა და ჯოვანი ტრაპატონის გუნდს ბელგიაში გამარჯვება არ გასჭირვებია.

მასპინძელთა მეკარე ბუბაქარ ბარო შეხვედრის დასაწყისშივე აზარ კარადასის წაქცევისათვის გააძევეს, პენალტი კი სიმაო საბროსამ ბაროს შემცვლელ დავინო ვერპულს გაუტანა. „ბენფიკას“ სლოვენიელმა ლეგიონერმა ზლატკო ზაჰოვიჩმა მეორე გოლი მალევე გამოაცხო, ხოლო შესვენების შემდეგ მანვე მეტოქე ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შექმნისას გამოიჭირა და ვერპულსი მესამედ დაამწუხრა.

„ჰერენვენმა“ ზაგრებში „დინამოს“ ქულა სასწაულებრივ გამოჰგლიჯა. ჰოლანდიურმა გუნდმა მატჩის ბოლო ხუთ წუთში წყვილი გოლი გაიტანა და ფრე გამოჩარხა.

### H ჯგუფი

სანკტ პეტერბურგის „ზენიტს“ მეთექვსმეტედფინალის საგზური 90-ე წუთამდე განაღდებული ჰქონდა, მაგრამ მეორებუნდესლიგელ „ალემანიას“ კრისტოფ ბლანკმა თამაშის მიწურულს ნევისპირელებს ფრე გამოჰგლიჯა.

თავიდანვე გერმანელებმა გაიხარეს, ერიკ მეიერმა ბურთი ჯერ მკერდით მიიღო, მერე ორ მცველს შუა გაძვრა და მალაფეევს ასე გაუტანა.

რუსებმა ტაიმის მიწურულს გაათანაბრეს. ალექსანდრ კერჟაკოვის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ვლადისლავ რადიმოვმა ზუსტად გამოიყენა, ხოლო მეორეში გორშკოვმა თავური დარტყმით დააწინაურა „ზენიტი“. ბოლოს კი ბლანკის ის გოლი იყო, რომელზედაც ზემოთ ვთქვით.

ესპანურმა „სევილიამ“ ბრაზილიელი ჟულიო ბაპტისტას მეორე გოლის წყალობით ბერძნულ აეკ-ს ცხრილში ბოლო ადგილი გაუნაღდა და მასპინძელმაც მეთექვსმეტედფინალის საგზური ჩაიჯიბა.

**ვაჟა ხუციშვილი**


REUTERS ალკმაარიდან

ალკმაარი — რეინჯერსი. გუნდებმა წუთიერი დუმილით პატივი 1 დეკემბერს გარდაცვლილი ჰოლანდიის პრინცის ხსოვნას მიაგეს

# იტალია

ირაკლი ნინიძე

# მშვიდობით, დომენიკო!

## ლაციო კაზოს ხელს დაუქნევს

| XIV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ინტერი | : | მესინა |
| პარმა | : | მილანი |
| **ხვალ** | | |
| კალიარი | : | კიევო |
| ფიორენტინა | : | ბოლონია |
| იუვენტუსი | : | ლაციო |
| ლეჩე | : | ლივორნო |
| პალერმო | : | ატალანტა |
| რეჯინა | : | ბრეშა |
| რომა | : | სამპდორია |
| უდინეზე | : | სიენა |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 13 | 10 | 2 | 1 | 25:6 | 32 |
| მილანი | 13 | 8 | 4 | 1 | 19:8 | 28 |
| უდინეზე | 13 | 6 | 4 | 3 | 20:13 | 22 |
| კალიარი | 13 | 5 | 4 | 4 | 18:20 | 19 |
| პალერმო | 13 | 4 | 6 | 3 | 11:9 | 18 |
| მესინა | 13 | 4 | 6 | 3 | 18:18 | 18 |
| ინტერი | 13 | 2 | 11 | 0 | 25:22 | 17 |
| ლეჩე | 13 | 4 | 5 | 4 | 24:21 | 17 |
| სამპდორია | 13 | 5 | 2 | 6 | 9:10 | 17 |
| კიევო | 13 | 4 | 5 | 4 | 10:13 | 17 |
| რომა | 13 | 4 | 4 | 5 | 23:21 | 16 |
| ფიორენტინა | 13 | 3 | 7 | 3 | 13:11 | 16 |
| ლაციო | 13 | 4 | 4 | 5 | 15:15 | 16 |
| რეჯინა | 13 | 4 | 4 | 5 | 10:12 | 16 |
| ლივორნო | 13 | 4 | 4 | 5 | 13:16 | 16 |
| ბრეშა | 13 | 4 | 2 | 7 | 10:18 | 14 |
| ბოლონია | 13 | 3 | 4 | 6 | 13:16 | 13 |
| პარმა | 13 | 2 | 6 | 5 | 14:20 | 12 |
| სიენა | 13 | 2 | 5 | 6 | 8:20 | 11 |
| ატალანტა | 13 | 0 | 7 | 6 | 11:20 | 7 |

**ორშაბათის** „სარბიელში“, სერია A-ს ტურის მიმოხილვაში, შესაძლოა, ეწეროს, „ლაციოს“ მწვრთნელი დომენიკო კაზო თანამდებობიდან გადადგა, ანაც გადააყენესო. შესაძლოა, ორშაბათს არა, მაგრამ მწვრთნელის შეცვლა ცოტა მოგვიანებით მოხდეს, თუმცა კაზოს „ლაციოში“ დიდი დღე რომ აღარ უწერია, საქმეში ჩახედული ხალხი თითქმის ერთსულოვანია. გასაკვირი იქნებოდა, სხვანაირად ყოფილიყო: რომაელები ცხრილში მეცამეტე არიან, უეფას თასიდან გავარდნენ და ამ ტურშიც „იუვენტუსს“ სტუმრობენ, რომელთანაც წარმატების ძალიან მცირე შანსი აქვთ.

„იუვე“ კი ამ სეზონში „დელე ალპიზე“ დაუმარცხებელია, ექვსიდან ხუთი მატჩი მოიგო და „ლაციოსთან“ ტრავმამოშუშებული ალესანდრო დელ პიეროც დაუბრუნდება. თუმცა ტურინელებს მაინც არ ეყოლებათ უძლიერესი შემადგენლობა, რაკი პაველ ნედვედი გრიპიანი წევს, მეორე მხრივ კი, დაბეჩავებული „ლაციოს“ დამარცხებას უნედვედო „იუვეც“ უნდა ეყოს. ჩეხს, სავარაუდოდ, ოლივიე კაპო შეცვლის. სტუმართა პრეზიდენტი კლაუდიო ლოტიტო კი ამბობს, თითოეულ ჩვენთაგანს უმძიმესი გამოცდა ელისო.

მეორე ადგილზე მყოფი „მილანიც“ ერთ დროს ყოჩაღ, ბოლო ხანს კი დაძაბუნებულ მეტოქეს ხვდება. პარმელთა ლამის ერთადერთი იმედი ფორვარდი ალბერტო ჯილარდინოა, რომელმაც დღეს განსაკუთრებით უნდა მოინდომოს — მას „მილანში“ გადასვლას უწინასწარმეტყველებენ და ცხადია, რომ მომავალი მწვრთნელისთვის თავის მოწონებას ეცდება. თუმც მილანელთა შეტევის ხაზი ბევრად სახიფათოდ რომ გამოიყურება, მტკიცება რად უნდა: ჩემპიონს ანდრეი შევჩენკო დაუბრუნდა და ერნან კრესპოც საუკეთესო ფორმაშია.

ნეტარ არიან მორწმუნენი — „ინტერში“ სჯერათ, რომ ჩემპიონობა ჯერაც შეუძლიათ, თუმცაღა ლიდერს მთელი 15 ქულით ჩამორჩებიან. „ინტერი“ „სან სიროზე“ მასპინძლობს „მესინას“ და იმედია, ამ თამაშს მაინც მოიგებს.

ერთიცაა, სანამ „ინტერი“ „იუვეს“ დაეწევა, ჯერ სხვებს უნდა დაეწიოს, თუნდაც „უდინეზეს“, რომლის ასეთ თამაშს ვინძლო არავინ ველოდით. ისიც გვგონია, რომ უდინელები არც ამ ტურის მერე მიიახლოვენ მდევრებს, რაკი წესით და რიგით, მაჩანჩალა „სიენას“ დამარცხება არ უნდა გაუჭირდათ. სიენელებს კი ალბათ ვერც ის უშველით, რომ სეზონში პირველად გავა სათამაშოდ მათი ბრაზილიელი ვარსკვლავი როდრიგო ტადეი.

უდინელთა წარმატებულ სვლაზე ნაკლებად მოულოდნელი არც „კალიარის“ ასეთი აღმასვლაა. სარდინიელთა არტილერია, ბებერი ჯანფრანკო ძოლა ახალგაზრდობას იხსენებს, კუნძულელთა მეტოქე „კიევოს“ კი დისკვალიფიკაციის გამო მცველი ლორენცო დანა დააკლდება.



დომენიკო კაზო

# ინგლისი

ლოტე

| XVI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ჩელსი | : | ნიუკასლი |
| არსენალი | : | ბირმინგემი |
| პორტსმუთი | : | ვესტ ბრომვიჩი |
| ასტონ ვილა | : | ლივერპული |
| ევერტონი | : | ბოლტონი |
| მანჩესტერი | : | საუთჰემპტონი |
| ნორვიჩი | : | ფულემი |
| ბლექბერნი | : | ტოტენჰემი |
| **ხვალ** | | |
| კრ. პალასი | : | ჩარლტონი |
| **ზეგ** | | |
| მიდლსბრო | : | სიტი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 15 | 11 | 3 | 1 | 27:6 | 36 |
| არსენალი | 15 | 9 | 4 | 2 | 39:20 | 31 |
| ევერტონი | 15 | 9 | 3 | 3 | 17:12 | 30 |
| მანჩესტერი | 15 | 7 | 6 | 2 | 19:10 | 27 |
| მიდლსბრო | 15 | 7 | 4 | 4 | 24:18 | 25 |
| ასტონ ვილა | 15 | 6 | 6 | 3 | 20:16 | 24 |
| ლივერპული | 14 | 7 | 2 | 5 | 23:16 | 23 |
| ბოლტონი | 15 | 6 | 5 | 4 | 22:19 | 23 |
| სიტი | 15 | 5 | 5 | 5 | 19:14 | 20 |
| ნიუკასლი | 15 | 5 | 5 | 5 | 27:27 | 20 |
| პორტსმუთი | 14 | 5 | 3 | 6 | 18:20 | 18 |
| ჩარლტონი | 15 | 5 | 3 | 7 | 17:27 | 18 |
| ტოტენჰემი | 15 | 4 | 4 | 7 | 14:17 | 16 |
| ბირმინგემი | 15 | 2 | 8 | 5 | 12:15 | 14 |
| ფულემი | 15 | 4 | 2 | 9 | 17:27 | 14 |
| კრ. პალასი | 15 | 3 | 4 | 8 | 17:23 | 13 |
| ბლექბერნი | 15 | 2 | 7 | 6 | 16:29 | 13 |
| საუთჰემპტონი | 15 | 2 | 6 | 7 | 15:21 | 12 |
| ნორვიჩი | 15 | 1 | 9 | 5 | 14:25 | 12 |
| ვესტ ბრომვიჩი | 15 | 1 | 7 | 7 | 13:28 | 10 |



ალექს ფერგიუსონის გუნდს ორი წლის წინანდელ დეკემბერში 26 ქულა ჰქონდა

# პარალელები და ვარაუდები

## არსენალმა ახლა მაინც მოიგოს

**ჩვეულებას** მივყვეთ და ანონსი ტურის ყველაზე გამორჩეული მატჩით დავიწყოთ. ჩვენი აზრით, ასეთი „ჩელსი“ — „ნიუკასლია“ და იმედი გვაქვს, რომ თქვენი აზრიც ეს არის.

ფავორიტი, ცხადია, „ჩელსია“, რომელმაც ბოლო ექვსი მატჩიდან ხუთი მოიგო და ერთიც ფრედ დაასრულა. ამასთანავე, „ჩელსი“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფიდანაც გავიდა და შუა კვირაში „ფულემსაც“ სძლია ლიგის თასის მეოთხედფინალში.

ლონდონელთა ფავორიტობის სხვა არგუმენტი კი ის არის, რომ „ნიუკასლს“ ალან შირერი, ენდი ობრაიენი, სტივენ კარი და ნიკი ბათი არ ეყოლება. თუმცა, ისეც რომ არ გამოგვივიდეს, „ნიუკასლს“ წარმატების იოტისოდენა შანსიც არ აქვსო, დავძინეთ: „კაჭკაჭებს“ რობი ელიოტი და რონი იონსენი დაუბრუნდებიან, რომლებსაც წინა ტურში „ევერტონთან“ არ უთამაშიათ.

რა დრო დადგა? იმის თქმა გვიწევს, ეგებ „არსენალმა“ ახლა მაინც მოიგოსო. არადა, ფაქტია: 49-მატჩიანი წაუგებელი სერიის მერე, „მეთოფეებმა“ ბოლო ექვსი შეხვედრიდან მხოლოდ ერთი მოიგეს. ამ ტურში „არსენალის“ მეტოქე „ბირმინგემია“, რომელსაც ტრავმები მოსძალებია და ლიგაში ერთი თამაში ძლივს აქვს მოგებული.

სადაც „ჩელსის“ და „არსენალს“ ვიტყვით, იქ „მანჩესტერიც“ უნდა ვახსენოთ. საინტერესო სტატისტიკური ცნობა: 2002-03 წლების სეზონში მე-15 ტურის მერე „მანჩესტერს“ 26 ქულა ჰქონდა და ჩემპიონი გახდა. ახლა მას მაშინდელზე ერთი ქულით მეტი აქვს. ცხადია, პარალელების გავლებით დასკვნების გამოტანა არ ივარგებს და დიდი ალბათობით მხოლოდ ერთი რამ შეგვიძლია ვივარაუდოთ — „საუთჰემპტონს“ „ოლდ ტრეფორდზე“ შანსი ფაქტობრივად არ აქვს.

ესპანეთში „ესპანიოლი“, იტალიაში „უდინეზე“ და „კალიარი“, ინგლისში კი „ევერტონი“... ეს ის გუნდებია, რომელთაგან ოთხეულში ყოფნას არავინ ელოდა, მაგრამ არიან. „ევერტონი“ ამ ტურში „ბოლტონს“ მასპინძლობს და დევიდ მოიესს ერთხელაც შეუძლია დაამტკიცოს, რომ ძალიან კარგი მენეჯერია. მით უმეტეს, რომ ბოლტონელთა ბოლოდროინდელი თამაში მასპინძელთა გამარჯვების შანსს ერთი-ორად ზრდის. „ბოლტონმა“ ჩინებული სტარტის მერე აშკარად უკლო და ბოლო ოთხ მატჩში ორ ქულას დასჯერდა. გარდა ამისა, სტუმრებს დისკვალიფიცირებული ელ-ჰაჯი დიუფი და ტრავმირებულები, რიკარდო გარდნერი და ლეს ფერდინანდი არ ეყოლებათ.

| 14:00 | 551 | კანტუ-სიენა | 2.65 | 12.0 | 1.4 | 2.17 | 1.0 | 1.25 |
| 20:15 | 552 | ლივორნო-ვარეზე | 1.55 | 12.0 | 2.25 | 1.37 | 1.0 | 1.89 |
| 20:15 | 553 | ბენეტონი-ტერამო | 1.05 | 12.0 | 7.0 | 1.0 | 1.0 | 4.42 |
| 20:15 | 554 | ბიელა-ავრიორა | 1.55 | 12.0 | 2.25 | 1.37 | 1.0 | 1.89 |
| 20:15 | 555 | ბოლონია-აველინო | 1.05 | 12.0 | 7.0 | 1.0 | 1.0 | 4.42 |
| 20:15 | 556 | კალაბრია-ბიპოპი | 1.4 | 12.0 | 2.65 | 1.25 | 1.0 | 2.17 |
| 20:15 | 558 | სკავოლინი-მილანი | 2.05 | 12.0 | 1.65 | 1.75 | 1.0 | 1.45 |
| | | **6 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 557 | როზეტო-უდინე | 1.6 | 12.0 | 2.15 | 1.41 | 1.0 | 1.82 |
| | | **კალათბურთი** | | | | | | |
| | | **ესპანეთი** | | | | | | |
| | | **4 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:15 | 559 | ბილბაო-ლეიდა | 1.55 | 12.0 | 2.25 | 1.37 | 1.0 | 1.89 |
| 21:30 | 562 | ტაუ-ბრეოგანი | 1.15 | 12.0 | 4.5 | 1.04 | 1.0 | 3.27 |
| 22:30 | 563 | ტენერიფე-ხირონა | 2.05 | 12.0 | 1.6 | 1.75 | 1.0 | 1.41 |
| 21:00 | 564 | ვალიადოლიდი-ესტუდიანტესი | 2.05 | 12.0 | 1.6 | 1.75 | 1.0 | 1.41 |
| 22:00 | 565 | ხუვენტუდი-გრანადა | 1.2 | 12.0 | 3.85 | 1.09 | 1.0 | 2.91 |
| | | **5 დეკემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 560 | ვალენსია-ბარსელონა | 1.8 | 12.0 | 1.9 | 1.56 | 1.0 | 1.64 |
| 14:30 | 561 | რეალი-სან ფერნანდო | 1.1 | 12.0 | 5.45 | 1.0 | 1.0 | 3.74 |
| 15:00 | 566 | აუნკაბალე-უნიკახა | 1.75 | 12.0 | 1.95 | 1.52 | 1.0 | 1.67 |
| 14:30 | 567 | მანრესა-ალიკანტე | 2.05 | 12.0 | 1.6 | 1.75 | 1.0 | 1.41 |
| | | **კალათბურთი** | | | | | | |
| | | **საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **4 დეკემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 568 | პანელინიოსი-იონიკოსი | 1.65 | 12.0 | 2.05 | 1.45 | 1.0 | 1.75 |
| 18:30 | 569 | ოლიმპია-პანათინაიკოსი | 4.5 | 12.0 | 1.15 | 3.27 | 1.0 | 1.04 |
| 19:00 | 570 | მენტი-აპოლონი | 1.75 | 12.0 | 1.95 | 1.52 | 1.0 | 1.67 |
| 19:30 | 571 | პანიონიოსი-პაოკი | 1.6 | 12.0 | 2.15 | 1.41 | 1.0 | 1.82 |
| 20:00 | 572 | მარუსი-ირაკლისი | 1.05 | 12.0 | 7.0 | 1.0 | 1.0 | 4.42 |
| 18:00 | 573 | მაკედონიკოსი-ოლიმპიაკოსი | 1.4 | 12.0 | 2.65 | 1.25 | 1.0 | 2.17 |
| 20:00 | 574 | აეკ-არისი | 1.3 | 12.0 | 3.1 | 1.17 | 1.0 | 2.46 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# I ტაიმის შედეგი

| | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 ჩელსი-ნიუკასლი | 1.7 | 2.3 | 6.6 | 1.0 | 1.35 | 1.7 |
| 10002 არსენალი-ბირმინგემი | 1.6 | 2.4 | 7.5 | 1.0 | 1.31 | 1.81 |
| 10003 ასტონ ვილა-ლივერპული | 2.8 | 2.0 | 3.2 | 1.16 | 1.49 | 1.23 |
| 10004 ნორვიჩი-ფულემი | 2.8 | 2.0 | 3.2 | 1.16 | 1.49 | 1.23 |
| 10005 ევერტონი-ბოლტონი | 2.3 | 2.0 | 4.2 | 1.06 | 1.48 | 1.35 |
| 10006 მანჩესტერი-საუთჰემპტონი | 1.3 | 3.1 | 7.0 | 1.0 | 1.09 | 2.14 |
| 10007 პორტსმუთი-ვესტ ბრომვიჩი | 2.2 | 2.0 | 4.6 | 1.04 | 1.48 | 1.39 |
| 10008 ბლექბერნი-ტოტენჰემი | 2.8 | 2.0 | 3.2 | 1.16 | 1.49 | 1.23 |
| 10009 კრისტალ პალასი-ჩარლტონი | 2.8 | 2.0 | 3.2 | 1.16 | 1.49 | 1.23 |
| 10010 მიდლსბრო-სიტი | 2.2 | 2.0 | 4.6 | 1.04 | 1.48 | 1.39 |
| 10052 არმინია-ჰანზა | 2.2 | 2.0 | 4.55 | 1.04 | 1.48 | 1.38 |
| 10053 ფრაიბურგი-ვერდერი | 4.0 | 2.0 | 2.35 | 1.33 | 1.48 | 1.08 |
| 10054 ჰამბურგი-ჰანოვერი | 2.2 | 2.0 | 4.55 | 1.04 | 1.48 | 1.38 |
| 10055 ჰერტა-მიონხენგლადბახი | 2.15 | 2.0 | 4.8 | 1.03 | 1.48 | 1.41 |
| 10056 ლევერკუზენი-ვოლფსბურგი | 2.15 | 2.0 | 4.75 | 1.03 | 1.48 | 1.4 |
| 10057 ნიურნბერგი-ბაიერნი | 4.6 | 2.0 | 2.2 | 1.39 | 1.48 | 1.04 |
| 10058 შტუტგარტი-ბოხუმი | 1.65 | 2.1 | 7.0 | 1.0 | 1.33 | 1.61 |
| 10059 კაიზერსლაუტერნი-მაინცი | 2.3 | 2.0 | 4.3 | 1.06 | 1.49 | 1.36 |
| 10060 დორტმუნდი-შალკე | 2.9 | 2.0 | 3.1 | 1.18 | 1.49 | 1.21 |

| | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|
| 10113 კალიარი-კიევო | 2.45 | 1.9 | 4.3 | 1.07 | 1.56 | 1.31 |
| 10114 ფიორენტინა-ბოლონია | 2.15 | 2.0 | 4.9 | 1.03 | 1.49 | 1.42 |
| 10115 ინტერი-მესინა | 1.6 | 2.4 | 6.5 | 1.0 | 1.28 | 1.75 |
| 10116 იუვენტუსი-ლაციო | 1.6 | 2.4 | 6.5 | 1.0 | 1.28 | 1.75 |
| 10117 ლეჩე-ლივორნო | 2.3 | 2.0 | 4.2 | 1.06 | 1.48 | 1.35 |
| 10118 პალერმო-ატალანტა | 1.75 | 2.3 | 6.2 | 1.0 | 1.36 | 1.67 |
| 10119 პარმა-მილანი | 4.8 | 2.0 | 2.15 | 1.41 | 1.48 | 1.03 |
| 10120 რეჯინა-ბრეშა | 2.45 | 1.9 | 4.3 | 1.07 | 1.56 | 1.31 |
| 10121 რომა-სამპდორია | 2.2 | 2.0 | 4.8 | 1.04 | 1.5 | 1.41 |
| 10122 უდინეზე-სიენა | 1.85 | 2.1 | 6.5 | 1.0 | 1.44 | 1.58 |
| 10154 ალბასეტე-ვალენსია | 3.6 | 2.0 | 2.55 | 1.28 | 1.49 | 1.12 |
| 10155 ატლეტიკო-ოსასუნა | 2.2 | 2.0 | 4.6 | 1.04 | 1.48 | 1.39 |
| 10156 ბარსელონა-მალაგა | 1.3 | 3.0 | 7.0 | 1.0 | 1.09 | 2.09 |
| 10157 ლევანტე-ხეტაფე | 2.15 | 2.1 | 4.5 | 1.06 | 1.45 | 1.43 |
| 10158 მალიორკა-ნუმანსია | 2.15 | 2.1 | 4.4 | 1.06 | 1.44 | 1.42 |
| 10159 რასინგი-დეპორტივო | 3.3 | 2.0 | 2.7 | 1.24 | 1.48 | 1.14 |
| 10160 სევილია-ბილბაო | 2.15 | 2.0 | 4.8 | 1.03 | 1.48 | 1.41 |
| 10161 სოსიედადი-ბეტისი | 2.8 | 2.0 | 3.2 | 1.16 | 1.49 | 1.23 |
| 10162 ვილიარეალი-რეალი | 3.9 | 2.0 | 2.4 | 1.32 | 1.48 | 1.09 |
| 10163 სარაგოსა-ესპანიოლი | 2.6 | 2.0 | 3.6 | 1.13 | 1.5 | 1.28 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | ჩელსი-ნიუკასლი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15002 | არსენალი-ბირმინგემი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15003 | ასტონ ვილა-ლივერპული | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15004 | ნორვიჩი-ფულემი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15005 | ევერტონი-ბოლტონი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15006 | მანჩესტერი-საუთჰემპტონი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15007 | პორტსმუთი-ვესტ ბრომვიჩი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15008 | ბლექბერნი-ტოტენჰემი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15009 | კრისტალ პალასი-ჩარლტონი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15010 | მიდლსბრო-სიტი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15052 | არმინია-ჰანზა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15053 | ფრაიბურგი-ვერდერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15054 | ჰამბურგი-ჰანოვერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15055 | ჰერტა-მიონხენგლადბახი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15056 | ლევერკუზენი-ვოლფსბურგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15057 | ნიურნბერგი-ბაიერნი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15058 | შტუტგარტი-ბოხუმი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15059 | კაიზერსლაუტერნი-მაინცი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15060 | დორტმუნდი-შალკე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15113 | კალიარი-კიევო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15114 | ფიორენტინა-ბოლონია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15115 | ინტერი-მესინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15116 | იუვენტუსი-ლაციო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15117 | ლეჩე-ლივორნო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15118 | პალერმო-ატალანტა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15119 | პარმა-მილანი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15120 | რეჯინა-ბრეშა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15121 | რომა-სამპდორია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15122 | უდინეზე-სიენა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15154 | ალბასეტე-ვალენსია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15155 | ატლეტიკო-ოსასუნა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15156 | ბარსელონა-მალაგა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15157 | ლევანტე-ხეტაფე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15158 | მალიორკა-ნუმანსია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15159 | რასინგი-დეპორტივო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15160 | სევილია-ბილბაო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15161 | სოსიედადი-ბეტისი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15162 | ვილიარეალი-რეალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15163 | სარაგოსა-ესპანიოლი | 3.0 | 2.8 | 2.0 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | ჩელსი-ნიუკასლი | 2.0 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11002 | არსენალი-ბირმინგემი | 1.7 | 15.0 | 30.0 | 3.5 | 5.0 | 11.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11003 | ასტონ ვილა-ლივერპული | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.2 |
| 11004 | ნორვიჩი-ფულემი | 3.5 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.4 |
| 11005 | ევერტონი-ბოლტონი | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11006 | მანჩესტერი-საუთჰემპტონი | 1.5 | 15.0 | 30.0 | 3.4 | 4.8 | 12.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11007 | პორტსმუთი-ვესტ ბრომვიჩი | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11008 | ბლექბერნი-ტოტენჰემი | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.2 |
| 11009 | კრისტალ პალასი-ჩარლტონი | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11010 | მიდლსბრო-სიტი | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11052 | არმინია-ჰანზა | 2.4 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 11053 | ფრაიბურგი-ვერდერი | 5.3 | 10.0 | 20.0 | 6.0 | 4.4 | 4.0 | 20.0 | 10.0 | 3.0 |
| 11054 | ჰამბურგი-ჰანოვერი | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11055 | ჰერტა-მიონხენგლადბახი | 2.5 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 11056 | ლევერკუზენი-ვოლფსბურგი | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11057 | ნიურნბერგი-ბაიერნი | 7.0 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.6 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.5 |
| 11058 | შტუტგარტი-ბოხუმი | 2.2 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11059 | კაიზერსლაუტერნი-მაინცი | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11060 | დორტმუნდი-შალკე | 3.7 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11113 | კალიარი-კიევო | 3.1 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 5.0 |
| 11114 | ფიორენტინა-ბოლონია | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11115 | ინტერი-მესინა | 1.8 | 12.0 | 25.0 | 3.4 | 4.8 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11116 | იუვენტუსი-ლაციო | 1.8 | 12.0 | 25.0 | 3.4 | 4.8 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11117 | ლეჩე-ლივორნო | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11118 | პალერმო-ატალანტა | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11119 | პარმა-მილანი | 7.0 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.6 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.5 |
| 11120 | რეჯინა-ბრეშა | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11121 | რომა-სამპდორია | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11122 | უდინეზე-სიენა | 2.4 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 11154 | ალბასეტე-ვალენსია | 4.8 | 10.0 | 20.0 | 5.3 | 4.4 | 4.2 | 20.0 | 10.0 | 3.1 |
| 11155 | ატლეტიკო-ოსასუნა | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11156 | ბარსელონა-მალაგა | 1.5 | 15.0 | 30.0 | 3.5 | 5.3 | 12.0 | 20.0 | 12.0 | 12.0 |
| 11157 | ლევანტე-ხეტაფე | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11158 | მალიორკა-ნუმანსია | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11159 | რასინგი-დეპორტივო | 4.2 | 10.0 | 20.0 | 4.8 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.6 |
| 11160 | სევილია-ბილბაო | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11161 | სოსიედადი-ბეტისი | 3.5 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.4 |
| 11162 | ვილიარეალი-რეალი | 5.3 | 10.0 | 20.0 | 6.0 | 4.4 | 4.0 | 20.0 | 10.0 | 2.9 |
| 11163 | სარაგოსა-ესპანიოლი | 3.2 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.8 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12001 | ჩელსი-ნიუკასლი | 1.8 | 1.8 |
| 12002 | არსენალი-ბირმინგემი | 1.9 | 1.7 |
| 12003 | ასტონ ვილა-ლივერპული | 1.7 | 1.9 |
| 12004 | ნორვიჩი-ფულემი | 1.7 | 1.9 |
| 12005 | ევერტონი-ბოლტონი | 1.7 | 1.9 |
| 12006 | მანჩესტერი-საუთჰემპტონი | 2.0 | 1.6 |
| 12007 | პორტსმუთი-ვესტ ბრომვიჩი | 1.7 | 1.9 |
| 12008 | ბლექბერნი-ტოტენჰემი | 1.7 | 1.9 |
| 12009 | კრისტალ პალასი-ჩარლტონი | 1.7 | 1.9 |
| 12010 | მიდლსბრო-სიტი | 1.7 | 1.9 |
| 12052 | არმინია-ჰანზა | 1.9 | 1.7 |
| 12053 | ფრაიბურგი-ვერდერი | 2.0 | 1.6 |
| 12054 | ჰამბურგი-ჰანოვერი | 2.0 | 1.6 |
| 12055 | ჰერტა-მიონხენგლადბახი | 1.9 | 1.7 |
| 12056 | ლევერკუზენი-ვოლფსბურგი | 2.1 | 1.5 |
| 12057 | ნიურნბერგი-ბაიერნი | 2.0 | 1.6 |
| 12058 | შტუტგარტი-ბოხუმი | 2.0 | 1.6 |
| 12059 | კაიზერსლაუტერნი-მაინცი | 1.9 | 1.7 |
| 12060 | დორტმუნდი-შალკე | 1.8 | 1.8 |
| 12113 | კალიარი-კიევო | 1.7 | 1.9 |
| 12114 | ფიორენტინა-ბოლონია | 1.6 | 2.0 |
| 12115 | ინტერი-მესინა | 1.9 | 1.7 |
| 12116 | იუვენტუსი-ლაციო | 1.7 | 1.9 |
| 12117 | ლეჩე-ლივორნო | 2.0 | 1.6 |
| 12118 | პალერმო-ატალანტა | 1.6 | 2.0 |
| 12119 | პარმა-მილანი | 1.7 | 1.9 |
| 12120 | რეჯინა-ბრეშა | 1.6 | 2.0 |
| 12121 | რომა-სამპდორია | 1.9 | 1.7 |
| 12122 | უდინეზე-სიენა | 1.7 | 1.9 |
| 12154 | ალბასეტე-ვალენსია | 1.6 | 2.0 |
| 12155 | ატლეტიკო-ოსასუნა | 1.6 | 2.0 |
| 12156 | ბარსელონა-მალაგა | 2.0 | 1.6 |
| 12157 | ლევანტე-ხეტაფე | 1.7 | 1.9 |
| 12158 | მალიორკა-ნუმანსია | 1.7 | 1.9 |
| 12159 | რასინგი-დეპორტივო | 1.7 | 1.9 |
| 12160 | სევილია-ბილბაო | 1.7 | 1.9 |
| 12161 | სოსიედადი-ბეტისი | 1.7 | 1.9 |
| 12162 | ვილიარეალი-რეალი | 1.7 | 1.9 |
| 12163 | სარაგოსა-ესპანიოლი | 1.7 | 1.9 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13001 | ჩელსი-ნიუკასლი | 1.7 | 1.9 |
| 13002 | არსენალი-ბირმინგემი | 1.8 | 1.8 |
| 13003 | ასტონ ვილა-ლივერპული | 1.7 | 1.9 |
| 13004 | ნორვიჩი-ფულემი | 1.7 | 1.9 |
| 13005 | ევერტონი-ბოლტონი | 1.7 | 1.9 |
| 13006 | მანჩესტერი-საუთჰემპტონი | 1.7 | 1.9 |
| 13007 | პორტსმუთი-ვესტ ბრომვიჩი | 1.7 | 1.9 |
| 13008 | ბლექბერნი-ტოტენჰემი | 1.7 | 1.9 |
| 13009 | კრისტალ პალასი-ჩარლტონი | 1.7 | 1.9 |
| 13010 | მიდლსბრო-სიტი | 1.7 | 1.9 |
| 13052 | არმინია-ჰანზა | 1.6 | 2.0 |
| 13053 | ფრაიბურგი-ვერდერი | 1.5 | 2.1 |
| 13054 | ჰამბურგი-ჰანოვერი | 1.6 | 2.0 |
| 13055 | ჰერტა-მიონხენგლადბახი | 1.7 | 1.9 |
| 13056 | ლევერკუზენი-ვოლფსბურგი | 1.6 | 1.95 |
| 13057 | ნიურნბერგი-ბაიერნი | 1.7 | 1.9 |
| 13058 | შტუტგარტი-ბოხუმი | 1.6 | 2.0 |
| 13059 | კაიზერსლაუტერნი-მაინცი | 1.7 | 1.9 |
| 13060 | დორტმუნდი-შალკე | 1.7 | 1.9 |
| 13113 | კალიარი-კიევო | 1.6 | 2.0 |
| 13114 | ფიორენტინა-ბოლონია | 1.7 | 1.9 |
| 13115 | ინტერი-მესინა | 1.6 | 2.0 |
| 13116 | იუვენტუსი-ლაციო | 1.7 | 1.9 |
| 13117 | ლეჩე-ლივორნო | 1.6 | 2.0 |
| 13118 | პალერმო-ატალანტა | 1.7 | 1.9 |
| 13119 | პარმა-მილანი | 1.7 | 1.9 |
| 13120 | რეჯინა-ბრეშა | 1.6 | 2.0 |
| 13121 | რომა-სამპდორია | 1.7 | 1.9 |
| 13122 | უდინეზე-სიენა | 1.7 | 1.9 |
| 13154 | ალბასეტე-ვალენსია | 1.7 | 1.9 |
| 13155 | ატლეტიკო-ოსასუნა | 1.6 | 2.0 |
| 13156 | ბარსელონა-მალაგა | 1.9 | 1.7 |
| 13157 | ლევანტე-ხეტაფე | 1.7 | 1.9 |
| 13158 | მალიორკა-ნუმანსია | 1.7 | 1.9 |
| 13159 | რასინგი-დეპორტივო | 1.6 | 2.0 |
| 13160 | სევილია-ბილბაო | 1.6 | 2.0 |
| 13161 | სოსიედადი-ბეტისი | 1.7 | 1.9 |
| 13162 | ვილიარეალი-რეალი | 1.7 | 1.9 |
| 13163 | სარაგოსა-ესპანიოლი | 1.6 | 2.0 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | ჩელსი-ნიუკასლი | 1.3 | 2.5 |
| 14002 | არსენალი-ბირმინგემი | 1.2 | 2.6 |
| 14003 | ასტონ ვილა-ლივერპული | 1.85 | 1.95 |
| 14004 | ნორვიჩი-ფულემი | 1.85 | 1.95 |
| 14005 | ევერტონი-ბოლტონი | 1.75 | 2.1 |
| 14006 | მანჩესტერი-საუთჰემპტონი | 1.2 | 2.6 |
| 14007 | პორტსმუთი-ვესტ ბრომვიჩი | 1.65 | 2.3 |
| 14008 | ბლექბერნი-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 14009 | კრისტალ პალასი-ჩარლტონი | 1.8 | 2.0 |
| 14010 | მიდლსბრო-სიტი | 1.7 | 2.2 |
| 14052 | არმინია-ჰანზა | 1.45 | 2.4 |
| 14053 | ფრაიბურგი-ვერდერი | 2.1 | 1.75 |
| 14054 | ჰამბურგი-ჰანოვერი | 1.65 | 2.3 |
| 14055 | ჰერტა-მიონხენგლადბახი | 1.45 | 2.4 |
| 14056 | ლევერკუზენი-ვოლფსბურგი | 1.65 | 2.3 |
| 14057 | ნიურნბერგი-ბაიერნი | 2.4 | 1.45 |
| 14058 | შტუტგარტი-ბოხუმი | 1.3 | 2.5 |
| 14059 | კაიზერსლაუტერნი-მაინცი | 1.7 | 2.2 |
| 14060 | დორტმუნდი-შალკე | 1.9 | 1.9 |
| 14113 | კალიარი-კიევო | 1.75 | 2.1 |
| 14114 | ფიორენტინა-ბოლონია | 1.65 | 2.3 |
| 14115 | ინტერი-მესინა | 1.2 | 2.6 |
| 14116 | იუვენტუსი-ლაციო | 1.2 | 2.6 |
| 14117 | ლეჩე-ლივორნო | 1.7 | 2.2 |
| 14118 | პალერმო-ატალანტა | 1.3 | 2.5 |
| 14119 | პარმა-მილანი | 2.4 | 1.45 |
| 14120 | რეჯინა-ბრეშა | 1.75 | 2.1 |
| 14121 | რომა-სამპდორია | 1.65 | 2.3 |
| 14122 | უდინეზე-სიენა | 1.45 | 2.4 |
| 14154 | ალბასეტე-ვალენსია | 2.1 | 1.75 |
| 14155 | ატლეტიკო-ოსასუნა | 1.7 | 2.2 |
| 14156 | ბარსელონა-მალაგა | 1.15 | 2.7 |
| 14157 | ლევანტე-ხეტაფე | 1.65 | 2.3 |
| 14158 | მალიორკა-ნუმანსია | 1.7 | 2.2 |
| 14159 | რასინგი-დეპორტივო | 1.95 | 1.85 |
| 14160 | სევილია-ბილბაო | 1.65 | 2.3 |
| 14161 | სოსიედადი-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 14162 | ვილიარეალი-რეალი | 2.1 | 1.75 |
| 14163 | სარაგოსა-ესპანიოლი | 1.6 | 2.0 |



ეროვნული ბიბლიოთეკა

# თსუ SOS

## სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს მუქთაზე თამაში მობეზრდა



თემურ ჭყონია და როინ მეტრეველი.
ძველი რექტორის დროს უნივერსიტეტს სპონსორი ჰყავდა

**გუშინ** კაფე „მსოფლიო სპორტში" საკვირაო სტუ — თსუ-ს პრესკონფერენცია უნდა გამართულიყო, მაგრამ მიზეზთა გამო ამ შეკრებას მხოლოდ სახელმწიფო უნივერსიტეტის პრესკონფერენციას თუ ვუწოდებთ. კაფეში არაფერი თქმულა მოახლოებული მატჩისთვის გუნდების მზადყოფნაზე, რაკი დიდი შანსია, რომ „სტუდენტური დერბი" ჩაიშალოს. თსუ-ში ამ სეზონში ხელფასები ჯერაც არ დარიგებულა და მწვრთნელ-მოთამაშეთა მოთმინების ფიალაც აივსო — თუ ხელმძღვანელობის კლუბისადმი მიდგომა არ შეიცვალა, სტუდენტები თამაშზე უარს იტყვიან.

როცა ჟურნალისტები თსუ-ს მწვრთნელ მამუკა ტურაშვილს საფრანგეთში წასულ ბესიკ ლეჟავას შემცვლელზე დაეკითხნენ, ყოფილმა ვითელმა ჩემპიონმა ირონიულად გაიცინა, რა შემცვლელზეა ლაპარაკი, გუნდი თავზე გვენგრევაო და მოჰყვა:

„გუნდში ძალიან რთული სიტუაციაა. ბიჭები მეხუთე თვეა, უკაპიკოდ ვარჯიშობენ და სტუ-სთან სათამაშოდ რომ არ გამოვიდნენ, არც ეს უნდა გაგიკვირდეთ. წუწუნი არ მიყვარს და მით უმეტეს, ფულზე ლაპარაკი, მაგრამ ახლა ძალიან სავალალო მდგომარეობაში ვართ. ჩემთვის უცხო არაა უფულოდ თამაში და ასე საქართველოს ჩემპიონიც გავმხდარვარ „ვითაში", მაგრამ მაშინ სხვა სიტუაცია გახლდათ. გუნდის პრეზიდენტი ჩემი და ჩემი გუნდელების ძმაკაცი იყო. თსუ-ში კი მარტო მე არ ვარ, არის ხალხი, რომლებსაც ოჯახები ჰყავთ და როგორ გინდა, მათ უხელფასოდ თამაში მოთხოვო?

აქამდე იმიტომ ვითმენდით, რომ მდგომარეობის გამოსწორების იმედი გვქონდა, ახლა კი ყველას ყელში ამოუვიდა უყურადღებობა და სათამაშოდ თუ არ გავედით, ამის ბრალი იქნება. ასეთ წვალებას აზრი არა აქვს. რომც ვითამაშოთ, რატომ, რისთვის, სირბილის და მოწინააღმდეგესთვის თავის შეკვლის სურვილი უმეტესობამ დაკარგა. უმოტივაციოდ არიან და იმიტომ. ბოლო ტურში რუსთავში 5 ქულა რომ წავაგეთ, 40 უნდა წაგვეგო, რადგან საშინლად ვითამაშეთ, პირველ ტაიმში სამიანი ვერ ჩავაგდეთ. ყველაზე ცუდი კი ის იყო, რომ რუსთაველთა ნათხოვარი მაისურებით ვეთამაშეთ თავად რუსთავის გუნდს...

პრესკონფერენციის წამყვანმა, კალათბურთის ფედერაციის პრესატაშე ზურაბ თალაკვაძემ თსუ-ს მწვრთნელს შეახსენა ჩემპიონატის დებულებით გათვალისწინებული სანქციები მატჩზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პირველ ჯერზე წაგება, ნული ქულა და ათასლარიანი ჯარიმა, ხოლო მეორედ ორიათასიანი ჯარიმა და ჩემპიონატიდან მოხსნა.

„ორი ათასი ცოტაა — თქვა ტურაშვილმა — უფრო მეტით უნდა დავისაჯოთ, რომ ხელმძღვანელობა გამოფხიზლდეს და თავისი ნაკისრი ვალდებულებები შეასრულოს. თუ გუნდის შენახვა არ სურდათ, რატომ გაიღეს ჩემპიონატში სამონაწილეო თანხა?! მე პირადად არ მინდა, უმოტივაციო და უხასიათო გუნდს გავუძღვე ძლიერ მეტოქესთან მატჩში. რა აზრი აქვს, 40 ქულით წავაგებთ თუ 50-ით. ხვალ ვხვდებით იმ ხალხს, ვისაც გუნდის ბედის გადაწყვეტა შეუძლია და მცირე იმედს ვიტოვებთ, რომ ვითარება გამოსწორდება. მესმის, რომ ყველა რექტორის არჩევნების მოლოდინშია, მაგრამ ამ მიზეზით ამდენი ადამიანის ბედის ანაბარა დატოვება, გაუმართლებლად მიმაჩნია."

ამის შემდეგ სტუ-ს მწვრთნელ ნუგზარ ჭეიშვილს მიაწოდეს მიკროფონი, რომელმაც, ცხადია, თსუ-ს გასაჭირის ირგვლივ ილაპარაკა — „აქამდე ჭორის დონეზე ვიცოდი, რომ თსუ-ს უჭირდა, მაგრამ თუ ასე სერიოზულად იყო საქმე, ნამდვილად არ მეგონა. ამ გუნდში მეც მაქვს ოფლი დაღვრილი და ასეც რომ არ იყოს, ძალიან მეწყინება, თუ თსუ დაიშლება. ვერ გამიგია, რატომ უნდა იყოს ამხელა სხვაობა ორ უმაღლეს სასწავლებელს შორის კალათბურთისადმი მიდგომაში. ჩვენთან, ტექნიკურ უნივერსიტეტში, ყველაფერი პირიქითაა. კალათბურთს დიდ ყურადღებას აქცევენ, ხელფასებზე ლაპარაკი არაა, ხელმძღვანელობა სხვანაირადაც ზრუნავს ჩვენზე. სწორედ ამ დღეებში გადაწყვიტეს, გუნდს თბილი ქურთუკები შეუკერონ. იმასაც აპირებენ, რომ მოთამაშეებს დამატებით გზის ფული მისცენ. ჰოდა, სწორედ ესაა საკვირველი, რომ ამის ფონზე სახელმწიფო უნივერსიტეტში კალათბურთს ყურადღებას არ აქცევენ."

თსუ-ს ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი მაისურაძემაც ითხოვა სიტყვა და თავისი გულისტკივილი გამოთქვა...

„მთელი მონდომებით ვემზადებოდით და გარკვეულ წარმატებასაც მივაღწიეთ, გუნდმა გამართულად დაიწყო თამაში, მაგრამ ასეთ გაურკვევლობაში ყოფნას აღარ ვაპირებთ. საკმარისად მოვითმინეთ და ხუთი თვე ხელფასი რომ არ მიგვიღია, არაფერი გვითქვამს, მაგრამ ამდენის გაძლება შეუძლებელია. თუ არ უნდათ გუნდის ყოლა, თქვან თსუ-ს ხელმძღვანელებმა და ჩვენ ჩვენს გზას მოვნახავთ, უნივერსიტეტის გუნდი კი როგორმე ჩაამთავრებს ჩემპიონატს დუბლიორებით. ყველაფერს კი ის აჯობებს, არ დავიშალოთ და რაც ჩვენზე იქნება დამოკიდებული, ყველაფერს გავაკეთებთ."

პრესკონფერენციაზე არ თქმულა, მაგრამ როგორც გავიგეთ, თსუ-ს სპონსორობაზე თანახმაა კომპანია „კოკა-კოლა", რომელიც შარშანაც აფინანსებდა გუნდს და სანაცვლოდ სახელმწიფო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე საკუთარი პროდუქციით ვაჭრობის ნება დართეს. ახლა კი ძველ ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა და ახლის გაფორმებას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ საშველი არ დააყენა.

მაშ ასე, საკვირაო სტუ — თსუ ჩაშლის პირასაა, მაგრამ ამაზე ცუდი ისაა, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდის დაშლის საფრთხე ემუქრება.

**ირაკლი პერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

— 2 დეკემბერი —

**დალასი 113:106 ჰიუსტონი**

ძირითადი დრო 93:93

დალასი: ნოვიცკი (53 ქულა, 16 მოხსნა, 4 დაფარება, 3 ჩაჭრა, 2 პასი)
ჰიუსტონი: მაკგრეიდი (48 ქულა, 9 მოხსნა, 9 პასი, 3 დაფარება, 2 ჩაჭრა)

# აი, ჯახი!

## მაკგრეიდი 48, ნოვიცკი 53





ა ი, ეს იყო თამაში!

სულ ბოლოს, ყველაფერი რომ დამთავრდა, დალასელი დირკ ნოვიცკი ჰიუსტონელ ტრეისი მაკგრეიდისთან მივიდა და ხელი ჩამოართვა. შემდეგ ეს ორი დიდი მოთამაშე ერთმანეთს გადაეხვია და მაკგრეიდიმ გერმანელს რაღაც უთხრა, ნოვიცკიმაც გაიცინა. ბოლოს ხომ გამარჯვებული იცინის...

თითქოს ჩვეულებრივი შეხვედრა უნდა ყოფილიყო ორ ტეხასურ გუნდს შორის, მაგრამ არაჩვეულებრივი გამოვიდა. „დალასმა" და „ჰიუსტონმა" ჯერ 48 ძირითადი წუთი აწვალეს ერთმანეთი, მერე დამატებით ხუთ წუთში კი უკვე ნოვიცკის „დალასი" აწვალებდა მაკგრეიდის „ჰიუსტონს". არადა, მაკგრეიდის მეოთხე მეოთხედის ბოლო წამებზე საჯარიმო რომ ჩაეგდო...

მაკგრეიდიმ 48 ქულა მოაგროვა, ნოვიცკიმ — 53 და ამ უკანასკნელის შედეგი არა მხოლოდ მიმდინარე სეზონის რეკორდია, არამედ მთლიანად „დალას მავერიკსის" ისტორიაში უმრავლესია. ამ კლუბის მაისურით ამდენი არასდროს არავის მოუხვეჭია.

გერმანელმა მთელი თამაში ბრწყინვალედ ჩაატარა, განსაკუთრებით კი ოვერტაიმი, რომლის დასაწყისშიც პირადად გააკეთა ზედიზედ 10 ქულა და თავისი გუნდი 103:93 დააწინაურა. „ჰიუსტონს" გამოუვიდა გაბრძოლება, მაკგრეიდიმ ოვერტაიმის დასრულებამდე წუთით ადრე სამქულიანით ოთხ ქულამდე შეამცირა სხვაობა, მაგრამ მეტი ველარ მოახერხა.

„გასაგიჟებელი თამაში იყო" — თქვა ნოვიცკიმ ნამატჩევს.

...მაკგრეიდიმ და მისიანებმა კი ზედიზედ მეხუთედ წააგეს.

**დენვერი 73:92 კლივლენდი**

დენვერი: მილერი (10), ბაკნერი (8), ენტონი (14), მარტინი (6), კემბი (7 ქულა, 10 მოხსნა); ბოიკინსი (9), ვაიტი (7), რასელი (4), ნენე (4), ცქიტიშვილი (12 წუთი, 2 ქულა, 2 მოხსნა), ჯონსონი (2)
კლივლენდი: მაკინისი (15), ნიუბლი (4), ჯეიმსი (17 ქულა, 9 პასი, 8 მოხსნა), გუდენი (10 ქულა, 13 მოხსნა), ილგაუსკასი (8); ტრეილორი (15), ჰარისი (13), ვარეჟაო (7), ჯეკსონი (2), სნოუ (1), პავლოვიჩი



მაიკ ფრატელო

# მემფისს თბილისელი გაწვრთნის

„მემფის გრიზლიზს" ახალი თავკაცი ჰყავს. შერყეული ჯანმრთელობის გამო გადამდგარ 71 წლის ჰუბი ბრაუნს, ოდესღაც მის ასისტენტად ნამუშევარი მაიკ ფრატელო შეცვლის. ფრატელოს უწინ — სანამ „ატლანტაში" და „კლივლენდში" გაითქვამდა სახელს — „პატარა ჰუბისაც" ეძახდნენ, რაკი იგი ჰუბი ბრაუნისთვის ლამის შვილობილივით იყო.

ფრატელოს კარგ სპეციალისტად იცნობენ. 1985-86 წლების სეზონის საუკეთესო მწვრთნელადაც დაასახელეს. სხვათა შორის, 1987 წელს საბჭოთა კავშირში ტურნეზე მყოფ და თბილისშიც ჩამოსულ „ატლანტა ჰოქსს" სწორედ ის წვრთნიდა.

მაიკ ფრატელო „გრიზლიზის" 9-წლიან ისტორიაში მეშვიდე თავკაცი იქნება.

მეორე ტური ასპროცენტიანი შედეგით მხოლოდ ორმა გუნდმა გაიარა. საქართველოს უცვლელმა ჩემპიონმა, ტექნიკური უნივერსიტეტის „შევარდენმა“ და „თელავმა“ ხუთივე მატჩი მოიგეს. ტექნიკოსებმა ტური შთამბეჭდავად ჩაატარეს და მეტოქეებს დიდი უპირატესობით სძლიეს.

როგორც არაერთხელ გვითქვამს, ჩემპიონებს ჩემპიონატის წინ დიდი ძალა მოაკლდათ ტიტე კალანდაძის, რევაზ ჭანტურიას და გიორგი ქობელაშვილის სახით. ეს იყო მიზეზი, რის გამოც მათ სატურნირო ცხრილში მეწინავეობა დათმეს.

კალანდაძე ისლანდიაში გაემგზავრა იქაურ ჩემპიონატში სათამაშოდ, რევაზ ჭანტურია — მაკედონიაში იქნევს ხელს. ქობელაშვილი მართალია გამოჯანმრთელდა, მაგრამ მაინც ფეხის დამცავი სახვევით უწევს თამაში, რაც, ბუნებრივია, დისკომფორტს უქმნის.

კალანდაძემ ისლანდიის ჩემპიონატში უკვე ორი მატჩი გამართა და, როგორც გვითხრა, ყველაფერი რიგზეა. ჭანტურია მაკედონიის ჩემპიონატის ოთხ მატჩში გამოვიდა და 19 გოლის გატანა მოასწრო, მისი „მეტალურგი“ კი რეზოს რვა გოლის წყალობით მორიგი მოგების შემდეგ სატურნირო ცხრილში მეორე საფეხურზეა და ლიდერ „ვარდარს“ სამი ქულით ჩამორჩება.

ხელბურთის კლუბი „თბილისი“ სატურნირო ცხრილის სათავეში კი დარჩა, თუმც ჩემპიონობისთვის დიდი ბრძოლის გადატანა მოუწევს. ნუ გვიწყენენ სხვა პრეტენდენტები, მაგრამ მაინც გვგონია, პირველობას მხოლოდ ეს ორი კლუბი, „სტუ-შევარდენი“ და „თბილისი“ გაითამაშებს.

თბილისელები, რომლებიც წინა ტურნირში ბოლო, მეხუთე ადგილზე გავიდნენ, სადღეისოდ საგრძნობლად გაძლიერდნენ საქართველოს ნაკრების კაპიტან ლევან გელაშვილის შემატებით. ლევანი ექვსი წელი საბერძნეთის ჩემპიონატში იბრძოდა, ახლა სამშობლოში დაბრუნდა და შესაშური მონდომებითაც ეხმარება ახალ კლუბს.

ცხადია, აღსანიშნავნი არიან გუნდის სხვა ლიდერებიც — მეგოლე ლაშა სამარლანიშვილი, დავით ფორაქიშვილი, ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე არჩილ გარიშვილი.

კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, იმაზე უკეთესი რა იქნება, თუ ჩემპიონი გაისად მაისში ბოლო ტურში გაირკვევა და არა, ვთქვათ, ერთი წრით ადრე.

წინა პირველობის ვერცხლის პრიზიორ „საუ-მამულს“ უმთავრესი შემტევი ძალა მოაკლდა — სნაიპერი გიორგი წიწვიაძე ირანში გაემგზავრა იქაურ ჩემპიონატში სათამაშოდ. გუნდი აგრეთვე დაასუსტა სამი მოთამაშის ტრავმამაც და მართალია, სოლიდური შევსება მიიღო ვეტერან მეგოლე ზვიად შათირიშვილის სახით, რომელმაც თამაშიდან თამაშამდე უმატა და ტურის ბოლოს 22 გოლიც დაუგროვდა, მაგრამ, ვფიქრობთ, მამულელებს გაუჭირდებათ საპრიზო ადგილისთვის ბრძოლა.

საქართველოს XV ჩემპიონატი

# ჩვენმა ხელბურთმა ხელი გაანძრია

**ბოლო წლებში პირველად მოხდა, რომ ქართველმა ხელბურთელებმა (ცხადია, კაცებზეა ლაპარაკი) ეროვნული ჩემპიონატი ნორმალურ ვადებში დაიწყეს. 2004-2005 წლების სეზონში გუნდებს სარეკორდოდ ბევრი, 28 თამაშის გამართვა მოუწევთ. ისე, ეს ჩვენთვისაა გასაკვირ-სარეკორდო, თორემ მთელი ევროპისთვის ჩვეულებრივი ამბავია.**

**ორი დღის წინ შედგა უშუქობის გამო გადადებული ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის სკოლის გუნდების — „ქარიშხალასა“ და ჭაბუკთა ნაკრების მატჩი და პირველმა წრემ დასრულებული სახე მიიღო. ახლა თითქმის ოთხთვიანი იძულებით-საზამთრო შესვენება გამოცხადდა და რიგით მე-15 ჩემპიონატი მარტში გაგრძელდება. ისიცაა, რომ იმ ნორმალურ ქვეყნებში სეზონი ზამთარშიც არ წყდება, მაგრამ ჩვენ ამისგან, სამწუხაროდ, ძალიან შორს ვართ. რას ვიზამთ, უნდა მოვითმინოთ, გაყინულ დარბაზში ხელთათმანებიანი ხელბურთი როგორი სათამაშოა.**

შესანიშნავად დაიწყო „ქუთაისმა“, ზედიზედ ხუთი მატჩი მოიგო და ჩემპიონობის პრეტენდენტადაც ითვლებოდა, მაგრამ სამჯერ დამარცხდა და უცებ მეხუთე ადგილზე ჩამოქვეითდა. ქუთათურთა წარუმატებლობის უმთავრესი მიზეზი ლიდერ ალექსანდრე ბოყოჩაძის გრიპია, აგრეთვე ორ ფრონტზე მებრძოლ გიორგი მინაძის არყოფნა, რომელიც „აიას“ მორაგბეთა გუნდშიც თამაშობს და იქ მიღებული ტრავმის გამო ხელბურთელებს ვეღარ დაეხმარა.

ჩემპიონატის გმირები არიან თელაველი ხელბურთელები. ისე, გასაკვირი კია, მათ პირველი ტურში თავიანთ მოედანზე თამაზ ანთაძის სახელობის სპორტთამაშების სკოლას დარბაზში მხოლოდ ერთი მატჩი მოიგეს, ამჯერად კი ხუთივე მეტოქე დაამარცხეს(!) და ამ სენსაციური შედეგის შედეგად სატურნირო ცხრილში საპატიო მეოთხე ადგილზე დამკვიდრდნენ. ზედმეტად კი არ ვეფერებით, მაგრამ მაინც ბარაქალა „თელავის“ მიმხედველებს, სასიამოვნოა, რომ ადგილობრივი ხელმძღვანელობაც და რაიონის უფროსობაც გუნდს გვერდში უდგას, ყურადღებას არ აკლებენ და კახელებს ფინალურ ექვსეულში ადგილი თითქმის გარანტირებულიც აქვთ.

მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვეს ჯემალ ცერცვაძის სახელობის გლდანის ხელბურთის სკოლის გუნდებმა. სპეციალისტთა შეფასებით, „ქარიშხალაც“ და ჭაბუკთა ნაკრებიც ნორმალურ, სწორ ხელბურთს თამაშობენ და ამღენად სასიამოვნოა, რომ სწორედ 16 წლის ჭაბუკები და მათზე სამიოთხი წლით უფროსი ქარიშხლელები წარმოადგენენ ქართული ხელბურთის ხვალინდელ დღეს და რომ მატერიალური ხელშეწყობის შემთხვევაში აღარ შეგვექმნება ევრო და მსოფლიოს შესარჩევ ტურნირებზე მათთვის სამონაწილეო პრობლემა.

მრავლისმთქმელია ის ფაქტიც, რომ „ქარიშხალა“ ჭაბუკების ძლევის (29:24) შემდეგ საბრინჯაო პოზიციამდე აღზევდა.

მართალია, საექვსეულო შანსი არ აქვთ „ბათუმს“, „სამტრედიას“, „გორს“ — მაგრამ თუნდაც ის, რომ ეს გუნდები უმძიმესი მატერიალური პროლემების მიუხედავად ჩემპიონატში მაინც გამოდიან, ესეც მისასალმებელია.

## მშვიდობაძის ტური

ჩემპიონატის სწორედ რომ აღმოჩენაა გორელი გოჩა მშვიდობაძე. მან პირველად ათი წლის წინ ითამაშა ეროვნულ ჩემპიონატში, მერე კი სამწუხაროდ, უქმად იყო.

მიმდინარე პირველობაში გოჩამ სენსაცია მოახდინა, რვა თამაშში 101 გოლი გაიტანა და ტრადიციულ ბომბარდირ ალექსანდრე ბოყოჩაძესაც კი გადაასწრო.

გოჩა მშვიდობაძე ჩინებული პიროვნება და სასიამოვნო მოსაუბრეა. ერთი თვის შემდეგ 30 წლის შესრულდება, დღეს-ხვალ კი მამა გახდება.

სტატისტიკისთვის, თამაშში საშუალო შედეგიანობა მშვიდობაძისა არის 12,6 გოლი, ხოლო ორთამაშგამოტოვებულ ბოყოჩაძისა — 10,9.

ერთი სიტყვით, მშვიდობაძე ყოველმხრივ ლიდერია, იმედია, გაზაფხულზე მშვიდობიანად იქნება და სნაიპერთა საინტერესო დუელსაც ვიხილავთ.

## პრეზიდენტი ეგვიპტეში

საქართველოს ხელბურთის ფროფესიული ასოციაციის პრეზიდენტი თენგიზ გაზდელიანი თბილისში, არჩილ წერეთლის ქუჩის დარბაზში თამაშებს ვერ დაესწრო, რადგან იმ დღეებში ეგვიპტეში იმყოფებოდა ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის 30-ე კონგრესში მონაწილეობის მისაღებად. მასთან ერთად წითელზღვისპირა საკურორტო ქალაქ ელ გუანში იმყოფებოდა ასოციაციის წევრი, ვეტერანი ხელბურთელი ედუარდ ხინჩიკაშვილი.

ბატონ თენგიზს, როგორც ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა ალეკო კიკაბიძემ გვაცნობა, თითქმის საათზე მეტხნიანი შეხვედრა ჰქონია ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტ ჰასან მუსტაფასთან. ბატონ ჰასანს სასიამოვნოდ მოუკითხია ჩვენი ლეგენდარული ხელბურთელი ჯემალ ცერცვაძე, რომელმაც სამწუხაროდ ვერ შეძლო ეგვიპტეში გამგზავრება. ჰასან მუსტაფა ბატონ თენგიზ გაზდელიანს და მისი სახით, მთელ ქართულ ხელბურთს შეპირდა ყოველმხრივ დახმარებას — კერძოდ ბურთებს, სათამაშო ფორმებს და კიდევ სხვა ატრიბუტიკას გამოგვიგზავნიან უკვე გაისად.

**გია ახალაძე**

### მეგოლეები

| | | |
|---|---|---|
| გოჩა მშვიდობაძე | გორი | 101 |
| ალექსანდრე ბოყოჩაძე | ქუთაისი | 87 |
| ირაკლი ქირია | ქარიშხალა | 83 |
| ზურაბ ურუშაძე | ბათუმი | 74 |
| გიორგი კობახიძე | საუ-მამული | 70 |
| ვლადიმერ რუსია | სტუ-შევარდენი | 70 |
| ალიკ გიორგელაშვილი | თელავი | 67 |
| მიხეილ საჯაია | ქარიშხალა | 66 |
| მერაბ ჯოჯუა | სამტრედია | 65 |
| რატი მსხვილიძე | ჭაბუკები | 63 |
| ლევან გელაშვილი | თბილისი | 61 |
| ზურაბ მელქოშვილი | ჭაბუკები | 56 |
| ლაშა სამარლანიშვილი | თბილისი | 55 |
| ზურაბ მეხრიშვილი | ბათუმი | 54 |
| ვახტანგ ჯიშკარიანი | თელავი | 52 |
| გიორგი ნატროშვილი | თელავი | 50 |
| გიორგი ჭელიძე | საუ-მამული | 50 |

### ვითარება პირველი წრის შემდეგ

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 8 | 1 | 0 | 260:206 | 17 |
| სტუ-შევარდენი | 8 | 0 | 1 | 315:225 | 16 |
| ქარიშხალა | 6 | 1 | 2 | 281:253 | 13 |
| თელავი | 6 | 0 | 3 | 251:222 | 12 |
| ქუთაისი | 5 | 1 | 3 | 300:274 | 11 |
| საუ-მამული | 4 | 1 | 4 | 336:268 | 9 |
| ჭაბუკები | 3 | 0 | 6 | 211:259 | 6 |
| ბათუმი | 1 | 1 | 7 | 226:287 | 3 |
| სამტრედია | 1 | 1 | 7 | 216:308 | 3 |
| გორი | 0 | 0 | 9 | 193:294 | 0 |



ჩემპიონატის აღმოჩენა — გორელი გოჩა მშვიდობაძე



„სტუ-შევარდენის“ წარმატებაში დიდი წვლილი დავით ნადირაძემაც დაიდო

ჰოკეი

# ბეტმენი მღვრიე წყალში თევზაობს



**ნჰლ-ის** კომისიონერი გარი ბეტმენი ერთობ მაზალო კაცია... ან იქნებ ზედმეტად ცბიერი და წინდახედული. ადრე ზოგიერთი კლუბის თავკაცი ასოციაციის კრიტიკისთვის დააჯარიმა სოლიდური თანხით — თან ისინი მისი თანამოაზრეები იყვნენ. ამ დღეებში ასოციაციის უფროსმა დირექტორმა სასკინმა ტორონტოს რადიოსათვის მიცემულ ინტერვიუში ბეტმენს „არასწორი კაცი“ უწოდა და ისიც დაამატა, შექმნილ სიტუაციაში მოთამაშეებს საერთოდ არ სცემს პატივსო. ბეტმენმა კი სასამართლოში კი არ უჩივლა, აინუნშიც არ ჩააგდო და მშვიდად განაცხადა: „სულაც არ მადარდებს, რას ამბობენ ჩემზე, როგორ მლანძლავენ. მთავარია, მივუახლოვდეთ საბოლოო მიზანს. ისე, ეს ფაქტი მახარებს კიდეც. რახან პროფკავშირმა ასეთ მეთოდებს მიმართა, ესე იგი გრძნობს, რომ ჩიხში აღმოჩნდა. ვფიქრობ, ეს განწირულის სიტყვებია.“

შედეგი გაინტერესებთ? ბეტმენმა მეორე დღესვე ნჰლპა-ს ლიდერ ბობ გუდენაუს წერილი მიილო, სასწრაფოდ შემხვდიო. ეს შეხვედრა 9 ან 10 დეკემბერს შედგება.

ასეა საქმე. ამას წინათ „ფილადელფია დეილი ნიუსში“ დაბეჭდილი ინფორმაცია სრული სიმართლე აღმოჩნდა (ამაზე „სარბიელმა“ გაუწყათ). სხვა მნიშვნელოვანი ამბებიც მოხდა. ხუთშაბათს ბეტმენმა ლიგის ყველა კლუბის პრეზიდენტი შეკრიბა ნიუ იორკის ერთ-ერთ იტალიურ რესტორანში, სადაც, ცხადია, მარტო პიცისა და სპაგეტის გემოზე არ ისაუბრებდნენ. შაბათს კი გუდუნაუ აპირებს პროფკავშირის ლამის მთელი აქტივის შეკრებას. სავარაუდოდ სწორედ აქ გამოამზეურებს ნჰლპა-ს შეფი თავის ახალ პროექტს.

როგორც ხედავთ, პროფკავშირი გვარიანად შეფუცხუნდა და ინიციატივითაც გამოდის. ადრე კი კატეგორიულად ამბობდნენ, ბოლო წინადადება ჩვენ შემოვიტანეთ, ახლა ლიგის ჯერიაო. თუმც ჰოკეის მოყვარულნი მტყუან-მართალს არ ეძებენ, მთავარია, მხარეები მორიგდნენ და 2005 წლის იანვარში დიდი ჰოკეი დაგვიბრუნდეს.

**სამველ ლარიბიანი**

ბეისბოლი

# ამერიკაში კეტი ღვინოსავითაა ძველი უფრო ძვირია



მეოცე საუკუნის ოციან წლებში მბრწყინავი ამერიკელი ბეისბოლისტის ბეიბ რუთის ხელგამოვლილ კეტს ამ დღეებში მავანი კოლექციონერი დაეპატრონა. სპორტული რელიქვიის აუქციონზე გატანა ჩვეულებრივი ამბავია, თუმც ამ შემთხვევაში წარმოუდგენლად მაღალი ფასი დაფიქსირდა და ამერიკულმა სააგენტოებმაც ერთხელაც გაიხსენეს ლეგენდარული ბეიბ რუთი.

ბეისბოლისტის მიერ 1923 წელს რომელიღაც სტუდენტური შეჯიბრის პრიზად დაწესებული ბიტა ვიქტორ ორსატმა დაისაკუთრა, 61 წელი სათუთადაც ინახა, მერე კი გარდაიცვალა და ანტიკვარი მემკვიდრეობით ნათესავებს გადაეცათ. ოცი წელი მათაც ინახეს, მაგრამ ამ დღეებში „სოტბის“ აუქციონზე გაიტანეს.

კეტის საწყისი ფასი მილიონი დოლარი იყო. ვაჭრობა დაახლოებით წუთს გაგრძელდა და ყველას მილიონ ორას სამოცი ათასიანმა კლიენტმა აჯობა.

აუქციონზევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ეს მესამე შემთხვევა იყო ისტორიაში, როდესაც სპორტულ რელიქვიაში მილიონ დოლარზე მეტი გადაიხადეს, თან წინა ორი ნავთიც ბესბოლისა ყოფილა. 1909 წლის ბეისბოლის ბარათი მილიონ 265 ათას დოლარად გაყიდულა, ხოლო კიდევ ერთი ცნობილი სპორტსმენის, მარკ მაგუაირის ნაქონი ბურთი 3 მილიონად დაუტაციათ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ჩოგბურთი

## დევისის თასი

„ესტადიო ოლიმპიკო დე სევილია“. სევილია. თიხნარი

### ესპანეთი 2:0 აშშ

**კარლოს მოია 6:4, 6:2, 6:3 მერდი ფიში**

**რაფაელ ნადალი 6:7 (6:8), 6:2, 7:6 (8:6), 6:2 ენდი როდიკი**

წყალბურთი



# ჩაძირე და იზეიმე

**მსაჯის** გადაწყვეტილებით ან მოწინაალმდეგის მოქმედებით აღშფოთება და ხელჩართული ბრძოლა სპორტის თითქმის ყველა სახეობაში ჩვეულებრივი ამბავია, თუმც გუშინწინ საბერძნეთში ისეთი რამ მოხდა, ანალოგს ძნელად თუ მოუძებნი.

„პანიონიოსისა“ და „ოლიმპიაკოსის“ წყალბურთის მატჩის დასრულებას წუთნახევარიღა უკლდა, წყალბურთელები ერთმანეთს რომ დაერივნენ. მუშტი-კრივში მალე სათადარიგოებიც ჩაერთვნენ, თუმც მთავარი ამბები ტრიბუნებზე ხდებოდა.

ორივე გუნდის გულშემატკივრებს გინება და ყვირილი არ ეყოთ და რაც ხელში მოჰყვათ, ყველაფერი აუზში გადაყარეს. ერთ-ერთმა სკამიც კი მოტეხა და „პანიონიოსის“ მოთამაშეს თავში სთხლიშა. წყალბურთელმა გრძნობა დაკარგა და ჩაიძირა. თანაგუნდელებმაც სწრაფადვე დაყვინთეს, ფსკერზე განრთხმული თავისიანი მოძებნეს და ნაპირზე ამოათრიეს, საიდანაც სასწრაფო დახმარების მანქანამ წაიყვანა.

„ოლიმპაკოსის“ ფანები ვერც ამან დააცხრო, თავადაც აუზის პირას ჩაინაცვლეს და მოწინააღმდეგე გუნდის მთავარ მწვრთნელს წყალში გადაუძახეს.

თამაში, რაღა თქმა უნდა, ჩაიშალა.

**ოთარ მაღლაკელიძე**



40 დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ქართველ წყალბურთელთა რიგებს გამოაკლდა ბორის მარგიევი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

მრავალი წელი ემსახურა ის ქართულ წყალბურთს, ჯერ როგორც მოთამაშე, შემდეგ როგორც მწვრთნელი და მსაჯი, აღზარდა არაერთი უმაღლესი კლასის მოთამაშე, კეთილი სიტყვით და რჩევით ეხმარებოდა დამწყებ არბიტრებს. სამწუხაროდ, ბედის უკუღმართობამ აიძულა რუსეთს გადახვეწილიყო, ბოლო რამდენიმე წელი მოსკოვში ცხოვრობდა ოჯახთან ერთად და ამა წლის 22 ოქტომბერს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ იქვე გარდაიცვალა კიდეც. სამუდამო განსასვენებელიც იქვე ჰპოვა.

მისი ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულებში. სანამ იარსებებს ქართული წყალბურთი, ბორის მარგიევის სახელს დავიწყება არ უწერია.

*ვეტერანი წყალბურთელები*

ფეხბურთი

## გერმანია

II ბუნდესლიგა. XVI ტური

ესენი 1:0 ალენი

ზაარბრიუკენი 2:1 აუე

კარსლრუე 0:3 დუისბურგი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XVIII ტური

ზანკტ პაული 1:1 ვუპერტალი

სამხრეთ რეგიონალლიგა XVI ტური

მიუნხენი (მ) 4:0 ნოტინგენი

კობლენცი 0:0 რეგენსბურგი

## ავსტრია

I დივიზიონი. XXI ტური

ავსტრია (ლ) 2:2 კაპფენბერგი

გრატკორნი 6:0 ვიორგლი

კერნტენი 2:0 ლინცერი

ლეობენი 0:0 ალტახი

რიდი 5:0 უნტერზიბენბრიუნი

## იტალია

სერია B. XVI ტური

არეცო 0:0 ტორინო

## საფრანგეთი

I დივიზიონი. XVII ტური

მონაკო 2:0 რენი

II დივიზიონი. XVIII ტური

ბრესტი 1:0 ანჟე

კრეტეი 1:1 კლერმონი

გრენობლი 1:2 ლორიანი

გენიონი 0:0 გენგამი

ლე ავრი 0:0 ნანსი

ლე მანი 1:0 ნიორი

მონპელიე 3:1 ლავალი

რეიმსი 0:0 ამიენი

სედანი 2:1 ტრუა

## ბელგია

იუპილერლიგა. XV ტური

ლუვიე 0:1 გენტი

მუსკრონი 6:0 სერკლ ბრიუგე

## ჰოლანდია

I დივიზიონი. XV ტური

ვალვაიკი 1:2 აიაქსი

II დივიზიონი. XVI ტური

ვეენდამი 3:1 აპელდორნი

კამბური 1:0 ექსელსიორი

ეინდჰოვენი 1:1 იგლსი

ჰაარლემი 0:0 ვოლენდამი

სპარტა 4:3 სიტარდი

ტელსტარი 2:0 დორდრეხტი

ოსი 3:0 ემენი

ვენლო 0:2 ჰერაკლესი

ზვოლე 1:2 ჰელმონდი

## თურქეთი

სუპერლიგა. XVII ტური

ფენერბაჰჩე 5:0 ანკარაგიუჯიუ

## ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა XV ტური

სპარტა 2:0 დრნოვიცე

## ინგლისი

ასოციაციის თასი მეორე ეტაპი

სკანთორპი 2:0 რექსემი

კემბრიჯი 0:1 დონსი

## პორტუგალია

სუპერლიგა. XIV ტური

პორტუ 0:1 ბეირა მარი

## უკრაინა

უმაღლესი ლიგა XV ტური

კრივბასი — დინამო *გადაიდო*

## პოლონეთი

თასის მესამე ეტაპი

ლეჩნა 0:2 კორონა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# არ უთმობს

ჭიდაობა ქალებმაც ფიცხელი იციან. ქალთა ნბა-ს თამაშში დეტროიტელი მცველი მინესოტელებს ბურთს არ უთმობს. მაინც დაათმობინეს და „მინესოტამაც“ საოცარი ანგარიშით — 86:34 მოიგო.



# ნიუ იორკში

ოსკაროსანი მსახიობი კუბა გუდინგ უმცროსი ნიუ იორკის ცენტრალურ პარკში საციგურაო ღონისძიებაში ჩართულა. ეს საქველმოქმედო ღონისძიება იმითაც გაგრძელდა, რომ კუბამ უფასოდ მოატარა ნიუ იორკის ღირსშესანიშნაობანი არცთუ მდიდარი მშობლების ბავშვებს.

# გოგო ციგაზე




ეს დიანა სარტორია თავის ციგაზე. გერმანიის ქალაქ ალტენბერგში მსოფლიოს თასი გახურებულა და ჩვენცა გვგონია, რომ ეს მსოფლიოს ჩემპიონი გოგო აქაც პირველი იქნება.




# შტადჰალე

სულ მალე ამ ახალაშენებულ დარბაზში ევროპის ჩემპიონატი დაიწყება. ახალი საცურაო აუზი ვენაში, თავისი ათასი სკამით, შტადჰალედ იწოდება.

# პანჩო თასისთვის

„ონილის მსოფლიო თასი“ სამწვერა გვირგვინის რიგით მეორე მარგალიტია, სხვანაირად კი მოსერფეთა სამთავან ერთ-ერთი უპრესტიჟულესი შეჯიბრია. ჰავაის წყლებში კი სწორედ ამ მარგალიტისთვის ჩაუქობს ჰავაელიფე პანჩო სალივანი.




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კლაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ილია ნანობაშვილი, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოღრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაб წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge